აჭარა

www.gazetiajara.ge

გამოცემის 102-ე წელი

გამოდის: სამშაბათს, ხუთშაბათს, შაბათს

№141 (25.021) შაბათი, 24 - 26 დეკემბერი, 2022 წ. 50 თეთრი

გარემოს ეროვნული სააგენტოს აჭარის ჰიდრომეტეოროლოგიური ობსერვატორიის ცნობით

დღეს მოსალოდნელია ცვალებადი მოღრუბლულობა, უნალექოდ, ცვალებადი მიმართულების ქარი – 10-15 მეტრი წამში, ტემპერატურა სანაპირო და შიდამთიან რაიონებში - 10-15, მაღალ მთაში - 5-10 გრადუსი სითბო. ზღვის წყლის ტემპერატურა 12 გრადუსია, ატმოსფერული წნევა – 760 მილიმეტრი.

ხვალ ამინდი შენარჩუნდება, მომდევნო 2 დღეს მოსალოდნელია წვიმა, მაღალ მთაში - თოვა.

რეგიონი ახალ წელს გაზრდილი ბიუჯეტითა და სიახლეებით ხვდება

მანანა ტაკიძე 593 10 15 17

2022 წელს მიღწეულ შედეგებზე იმსჯელეს აჭარის მთავრობის წევრებმა 22 დეკემბერს გამართულ წლის ბოლო სხდომაზე.

რეგიონის პირველი პირის განცხადებით, 9 თვის წინასწარი მონაცემებით, პირდაპირი უცხოური ინვესტიციების მოცულობა 106.5 მილიონი აშშ დოლარია. აჭარაში, პრივატიზების შედეგად, 120 მილიონ ლარზე მეტი მოცულობის ინვესტიცია განხორციელდება. ბათუმის 2023 წლის ბიუჯეტი 284 მილიონ 950 ათასი ლარით განისაზღვრა, საიდანაც აჭარის რესპუბლიკური ტრანსფერი 163 მილიონ ლარს შეადგენს. პრიორიტეტად განისაზღვრა მუნიციპალური ინფრასტრუქტურა, ჯანმრთელობის დაცვა და სოციალური უზრუნველყოფა, განათლება, სპორტი, კულტურა.

თორნიკე რიჟვაძემ სხდომაზე სიახლეებიც დააანონსა. 2023 წელს ბათუმში 6 საბავშვო ბაღი აშენდება, 17 საბავშვო ბაღს კი რეაბილიტაცია ჩაუტარდება. ავარიული სახლების ბიუჯეტი 22,5 მილიონი ლარით განისაზღვრა. პროგრამის ფარგლებში, 10 საცხოვრებელი სახლის მშენებლობა იგეგმება. სრულად განახლდება ბათუმის ავტოპარკი. სიახლეები ექნება რეგიონის ყველა მუნიციპალიტეტს, სადაც სოლიდური თანხები დაიხარჯება.

- პირველ რიგში, მსურს გაგაცნოთ რეგიონის ეკონომიკური მაჩვენებლები. ბოლო 9 თვის მონაცემებით, პირდაპირი უცხოური ინვესტიციები შეადგენს 106 მლნ აშშ დოლარს. ძირითადი სექტორებია: უძრავი ქონება, ტრანსპორტი, გადამამუშავებელი მრეწველობა. მინდა აღვნიშნო, რომ მთავრობის მიერ გატარებული აქტივობები, მხოლოდ ბოლო თვის მონაცემებით, 40 მილიონ ლარზე მეტი მობილიზდა საბიუჯეტო შემოსავლებში პრივატიზაციის ნაწილში და პრივატიზაციის შედეგად განხორციელდება 120 მილიონ ლარზე მეტი ინვესტიცია, რისთვისაც მადლობა მინდა გადავუხადო ეკონომიკურ გუნდს, მინისტრს. ჩვენ მომავალშიც გავაგრძელებთ ძალიან აქტიურ საპრივატიზაციო პოლიტიკას საჯარო და კერძო ინტერესების გათვალისწინებით.

ასევე, მინდა გაგაცნოთ ერთი სიახლის შესახებ. მოგეხსენებათ, რომ ჩვენ ძალიან დიდ ყურადღებას ვუთმობთ ტურისტული ინფრასტრუქტურის განვითარებას. უკვე დამტკიცდა მაჭახლის ახალი ლანდშაფტური პარკი, რომელიც ხელს შეუწყობს ტურიზმის განვითარებას. მინდა აღვნიშნო, რომ ეს პროექტი განხორციელდა როგორც მთავრობის, ისე უმაღლესი საბჭოს მონაწილეობით. დიდი იყო როლი გაეროს განვითარების პროგრამის და აქტიური თანამშრომლობა შედგა საქართველოს გარემოს დაცვის სამინისტროსთან.

დასრულდა ხელვაჩაურში ვიზიტიორთა ცენტრის მშენებლობა და ვაგრძელებთ ტურისტული ინფრასტრუქტურის მშენებლობას, რაც, საბოლოო ჯამში, კიდევ უფრო მეტად გაამყარებს მაჭახლის დაცული ლანდშაფტის მნიშვნელობას როგორც ტურისტული, ასევე, ეკონომიკური თვალსაზრისით.

დამტკიცდა აჭარის რესპუბლიკური ბიუჯეტი, რომელიც არაერთი მნიშვნელოვანი პროექტის განხორციელების საშუალებას მოგვცემს. საშუალება გვექნება, თითოეულ მუნიციპალიტეტს კიდევ უფრო მეტად დავუჭიროთ მხარი განსახორციელებელ პროექტებში და შესაბამის საბიუჯეტო ღონისძიებებში.

აქტიურად გაგრძელდება საგზაო ინფრასტრუქტურისა და ტურისტული ინფრასტრუქტურის მშენებლობა. რაც არანაკლებ მნიშვნელოვანია, განხორციელდება მაღალმთიანი აჭარის გაზიფიცირებისა და წყალმომარაგების პროექტები.

ბათუმის 2023 წლის ბიუჯეტი უკვე მიუახლოვდა 300-მილიონიან ნიშნულს, რაც საშუალებას მოგვცემს, არაერთი მნიშვნელოვანი პროექტი განვახორციელოთ ჩვენი ბათუმელებისთვის. ეს იქნება როგორც ინფრასტრუქტურული პროექტები, ასევე, გაზრდილი ჯანდაცვის და სოციალური პროგრამები. ბათუმის მუნიციპალიტეტში აშენდება 6 ახალი ბაღი. აქტიურად ვაგრძელებთ მუშაობას ავარიული სახლების პროგრამაზე და ამ მიმართულებით 10 ახალი მრავალბინიანი საცხოვრებელი აშენდება, რომელიც ავარიულ პირობებში მცხოვრებ დაახლოებით 1000-მდე ოჯახს საშუალებას მისცემს, უსაფრთხოდ გააგრძელოს ცხოვრება.

ბათუმის ავტოპარკს 60 ახალი ავტობუსი შეემატება, წლის ბოლომდე კი სრულად განახლდება. ასევე, დაგეგმილი ჯანდაცვის და სოციალური პროგრამების საშუალებით, ბათუმის მუნიციპალიტეტში 55 ათასამდე ბენეფიციარი ისარგებლებს.

ბიუჯეტის ზრდა ყველა მუნიციპალიტეტზე აისახა. აქვე აღვნიშნავ, რომ ბათუმის დაგეგმილ ბიუჯეტში, ნახევარზე მეტი, კერძოდ, 163 მილიონი ლარი რესპუბლიკური ბიუჯეტის ტრანსფერი იქნება. ბუნებრივია, აღნიშნული მიდგომა გავრცელდება სხვა მუნიციპალიტეტებზეც, მათ შორის, ქობულეთის მუნიციპალიტეტზე, რომლის ბიუჯეტიც იქნება 54 მილიონი ლარი და მის ფარგლებში, გაგრძელდება ცენტრალური პარკის რეაბილიტაცია, ახალი სოციალური სახლის მშენებლობა. ასევე, ვაპირებთ, ქობულეთს ჰქონდეს ახალი სპორტული სასახლე, რომლის მშენებლობაც უახლოეს მომავალში დაიწყება.

ხელვაჩაურის მუნიციპალიტეტში გრძელდება სოციალური სახლების მშენებლობა და ეს უკვე გათვალისწინებულია მომავალი წლის ბიუჯეტში, ასევე, ახალი საბავშვო ბაღის მშენებლობა ახალსოფელში, ხელვაჩაურის თითოეულ სოფელში განახლდება ადმინისტრაციული ცენტრი. ამ მიმართულებით მილიონ-ნახევარზე მეტი ლარი დაიხარჯება. საბოლოო ჯამში, ბიუჯეტი აქაც საკმაოდ გაზრდილია და 38 მილიონ ლარს შეადგენს.

ახალი სოციალური სახლის მშენებლობას ქედის მუნიციპალიტეტშიც ვგეგმავთ. იქ ერთ-ერთი მთავარი გამოწვევა წყალმომარაგებაა და ამ მიმართულებითაც არის დაგეგმილი პროექტები. შუახევში დასრულდება კულტურის ცენტრის რეაბილიტაცია, გაიხსნება მოსწავლე ახლგაზრდობის განახლებული სახლი და დასრულდება სასწრაფო სამედიცინო მომსახურების ცენტრის მშენებლობა. ხულოს მუნიციპალიტეტს რაც შეეხება, იქ 3 ახალი საბავშვო ბაღის მშენებლობა დასრულდება, - განაცხადა თორნიკე რიჟვაძემ.

კრიალოსა N იუსი

პრემიერ-მინისტრ ირაკლი ღარიბაშვილის ხელმძღვანელობით, საქართველოს ევროკავშირში ინტეგრაციის კომისიის 65-ე სხდომა გაიმართა. კომისიის წევრებმა საქართველოს ევროკავშირში ინტეგრაციის 2022 წლის ეროვნული სამოქმედო გეგმის ანგარიში და ევროპული საბჭოს 12 რეკომენდაციის შესრულების კუთხით არსებული მდგომარეობა შეაჯამეს, განიხილეს საქართველო-ევროკავშირის თანამშრომლობის მნიშვნელოვანი საკითხები. მოისმინეს ინფორმაცია ასოცირების შეთანხმებით გათვალისწინებული ვალდებულებების შესრულების და გასატარებელ ღონისძიებათა შესახებ. სხდომაზე მაღალი შეფასება მიეცა საქართველოს მხრიდან ასოცირების შეთანხმების იმპლემენტაციის პროცესს.

* * *

თავდაცვის მინისტრი ჯუანშერ ბურჭულაძე თურქეთში აზერბაიჯანი-თურქეთი-საქართველოს სამმხრივ თავდაცვის მინისტრიალს დაესწრო. იგი თურქ და აზერბაიჯანელ კოლეგებს ჰულუსი აკარსა და გენერალ-პოლკოვნიკ ზაქირ ჰასანოვს შეხვდა. განიხილეს შავი ზღვის ფართო რეგიონის უსაფრთხოების გარემო და თანამედროვე გამოწვევები, ასევე, უკრაინაში მიმდინარე მოვლენები, ენერგეტიკული უსაფრთხოების განმტკიცებისა და ენერგომატარებლების მიწოდების გზების დივერსიფიკაციის საკითხები, ისაუბრეს სამომავლო გეგმებზე. მინისტერიალის დასასრულ ხელი მოეწერა კომუნიკეს.

* * *

პარლამენტმა სახალხო დამცველი ვერ აირჩია. ქვეყნის საკანონმდებლო ორგანოში წარდგენილი 19 კანდიდატიდან 19-ვე ჩავარდა. საქართველოს კონსტიტუციისა და კანონმდებლობის გათვალისწინებით, პარლამენტს სახალხო დამცველი, 6 წლის ვადით, სრული შემადგენლობის არანაკლებ სამი მეხუთედის უმრავლესობით უნდა აერჩია. ეს არის 90 ხმა, რომელიც არც ერთ საპარლამენტო პარტიას არ გააჩნია და საჭირო იყო პოლიტიკური შეთანხმება, რომელიც ვერ შედგა.

* * *

130-ზე მეტი ყოფილი მაღალი პოლიტიკური და ადმინისტრაციული თანამდებობის პირი საქართველოს ხელისუფლებას მსჯავრდებულ ექსპრეზიდენტ მიხეილ სააკაშვილის საზღვარგარეთ სამკურნალოდ გაგზავნისკენ მოუწოდებს. როგორც მიმართვაშია ნათქვამი, „სააკაშვილის საქართველოში წამებით მოკვდინებას ექნება უაღრესად საზიანო შიდა და გარე პოლიტიკური შედეგები“, რაც, მათივე შეფასებით, არათუ გააღრმავებს ქვეყანაში არსებულ პოლარიზაციას, არამედ მოსპობს უახლოეს მომავალში მისი გადალახვის შანსსაც. მიმართვა ექსპრეზიდენტმა გიორგი მარგველაშვილმა გავრცელა.

მოამზადა
ია შველიძემ

რუსეთის მიერ ინსპირირებული სახელმწიფო გადატრიალება

3

რუსუდან სიხარულიძეს ვარსკვლავი გაუხსნეს

7

გამოიწერეთ გაზეთი «აჭარა»!

ვისაც სურს მიიღოს მაქსიმალურად ზუსტი ინფორმაცია და ობიექტური ანალიზი არა მარტო ჩვენი რეგიონის, სრულიად საქართველოს პოლიტიკური, ეკონომიკური, სოციალური და კულტურული ცხოვრების მთავარი მოვლენების შესახებ, შესაბამისი თხოვნით მიმართოს სადისტრიბუციო ორგანიზაციას «ბათუმი ექსპრესი» (ქ. ბათუმი, ჭავჭავაძის ქ. №90, ტელ: 555 86 12 21). მისი დახმარებით თქვენს მისამართზე მიიღებთ გაზეთ «აჭარის» ყოველ მომდევნო ნომერს.

გამოიწერეთ და ითანამშრომლეთ გაზეთ «აჭარასთან»!

ჩვენთვის ძვირფასია თითოეული თქვენგანის აზრი!

წამოჭრილი პრობლემების შემთხვევაში დაგვიკავშირდით:

577 20 43 55.

აჭარის სოფლის მეურნეობის მინისტრმა უწყების მიერ გაწეული საქმიანობა შეაჯამა

დარინა გაბაიძე 27 48 93

2022 წელს სამინისტროს მიერ გაწეული საქმიანობა შეაჯამა და სამომავლო გეგმებზე ისაუბრა აჭარის სოფლის მეურნეობის მინისტრმა ზაზა შავაძემ

შეხვედრას აჭარის მთავრობის თავმჯდომარე თორნიკე რიყვაძე, აჭარის უმაღლესი საბჭოს თავმჯდომარე დავით გაბაიძე, აჭარის მინისტრთა კაბინეტის წევრები, მუნიციპალიტეტების მერები, მეწარმეები და სხვა ოფიციალური პირები ესწრებოდნენ.

მიმდინარე წელს სოფლად მეწარმეობის განვითარების ხელშეწყობის ფარგლებში დაფინანსდა 13 წარმატებული პროექტი, როგორც პირველადი წარმოების, ასევე გადამუშავება-შენახვა-რეალიზაციის მიმართულებით. განხორციელდა გაერთიანებებისა და საოჯახო მეურნეობების განვითარების ხელშეწყობის პროგრამა, რომლის ფარგლებში დაფინანსდა 800-მდე სასოფლო-სამეურნეო გაერთიანებისა და მცირე საოჯახო მეურნეობის მიერ წარმოდგენილი პროექტები. სოფლის მეურნეობისა და სოფლის განვითარების ფარგლებში, ფერმერთა ცოდნის ამაღლების მიზნით, ექსტენციის ქსელის უფასო კონსულტაცია სხვადასხვა დარგის მიმართულებით 4 500-მდე ფერმერს ჩაუტარდა, რეგიონის ყველა მუ-

ნიციპალიტეტში საგაზაფხულო სამუშაოები შეუფერხებლად განხორციელდა, უსასყიდლოდ დამუშავდა 2 000 ჰა მიწის სახნავ-სათესი ფართობი. შეუფერხებლად მიმდინარეობს ციტრუსის მიმდინარე სეზონი, დღეის მდგომარეობით ექსპორტირებულია 10 000 ტონა სტანდარტული მანდარინი. მიღებული და გადამუშავებულია 3 200 ტონა არასტანდარტული მანდარინი. აჭარის მთავრობის გადაწყვეტილებით, არასტანდარტული მანდარინის სუბსიდირება მიმდინარეობს.

მინისტრმა აღნიშნა, რომ 2022 წელს აჭარის სსიპ „სატყეო სააგენტომ“ გერმანიის განვითარებისა და რეკონსტრუქციის ბანკისგან (KfW) 7 500 000 ევროს ოდენობის გრანტი მიიღო. მის ფარგლებში აჭარაში ხელი შეეწყობა ტყის მდგრადი მართვის გაუმჯობესებას, აჭარის სატყეო სააგენტოს ინსტიტუციურ განვითარებას და ტექნიკური ბაზის გაუმჯობესებას. სამინისტროს 2023 წლის ბიუჯეტი მიმდინარე წლის ბიუჯეტთან შედარებით 8 645 601 ლარით გაიზარდა და შეადგინა 29 530 950 ლარი.

შეხვედრის ბოლოს სოფლის მეურნეობის დარგში შეტანილი წვლილისათვის დაჯილდოვდნენ სოფლის მეურნეობის სამინისტროს და საქვეუწყებო დაწესებულებების თანამშრომლები.

ბიუჯეტი დაამტკიცეს

ოთარ ცინარიძე 599 85 21 14

გუშინ გაიმართა შუახევის მუნიციპალიტეტის საკრებულოს 2022 წლის ბოლო სხდომა. განხილული 7 პროექტიდან უმთავრესი შუახევის მუნიციპალიტეტის 2023 წლის ბიუჯეტის პროექტი იყო

შუახევის მუნიციპალიტეტის ისტორიაში ბიუჯეტში თანხის ასეთი რაოდენობა არ ყოფილა. იგი 19,1 მილიონი ლარითაა განსაზღვრული, რაც 4,1 მილიონი ლარით მეტია 2022 წლის მაჩვენებელზე. მომატებული ბიუჯეტის გარკვეული ნაწილი საჯარო სექტორებში დასაქმებულ მოხელეთა ხელფასის ზრდას მოხმარდება, ხელფასები ამ კატეგორიის მოხელეებს მიმდინარე წელთან შედარებით საშუალოდ, 32 პროცენტით გაეზრდებათ.

ბიუჯეტის პროექტში, რომელიც საკრებულოს სხდომაზე მერიის საფინანსო სამსახურის უფროსმა ანზორ ცეცხლაძემ წარმოადგინა, ყველა სოციალურ პროგრამასა და ინფრასტრუქტურულ პროექტზე გაწერილი თანხები მომატებულია, გათვალისწინებულია გარდამავალი ობიექტების მშენებლობა-რეაბილიტაციისა და ახალი მშენებლობების დაწყება, რომელთაგან აღსანიშნავია დაბა შუახევში კულტურის სახლის შენობის რემონტის დასრულება, მუზეუმისა და ბიბლიოთეკის ახალი შენობის მშენებლობის დაწყება.

ბიუჯეტის პროექტზე გარკვეული მოსაზრებანი გამოთქვეს მუნიციპალიტეტის გამოთქვეს მუნიციპალიტეტის მერმა ომარ ტაკიძემ, საკრებულოს თავმჯდომარე როსტომ ლორთქიფანიძემ, დეპუტატებმა ზვიად დიასამიძემ, ფატი ჭაღალიძემ, ედნარ კეჟერაძემ.

ბიუჯეტის წარმოდგენილ პროექტს უმრავლესობის წევრებმა მხარი დაუჭირეს. ფრაქცია „ერთიანი ნაციონალური მოძრაობის“ 5-მა წევრმა საკრებულოს სხდომასა და მომავალი წლის ბიუჯეტის დამტკიცებას ბოიკოტი გამოუცხადა.

საქართველოსა და სომხეთს შორის თანამშრომლობა ღრმავდება

დარინა გაბაიძე 27 48 93

ხელვაჩაურის მუნიციპალიტეტის მერიას სტუმრად სომხეთის გენერალური კონსული/დესპანი საქართველოში ბატონი ვაჰაგნ ფილიპოსიანი ეწვია

ხელვაჩაურის მუნიციპალიტეტის მერმა ზაზა დიასამიძემ, საკრებულოს თავმჯდომარე თენგიზ ირემაძესთან ერთად, გენერალურ კონსულთან გაცნობითი ხასიათის შეხვედრა გამართა.

მხარეებმა განიხილეს ორ ქვეყანას შორის არსებული მჭიდრო თანამშრომლობა, რაც ქვეყნის განვითარებასა და რეფორმების წარმატებულ განხორციელებას უწყობს ხელს.

შეხვედრაზე ხელვაჩაურის მუნიციპალიტეტთან დამეგობრებისა და მუნიციპალიტეტებს შორის სხვადასხვა სფეროში ურთიერთანამშრომლობის საკითხზეც ისაუბრეს. კერძოდ, აღნიშნეს, რომ ორი მუნიციპალიტეტის დამეგობრება ხელს შეუწყობს ტურიზმის აქტიურად განვითარებას, სტუდენტური და პროფესიული გაცვლითი პროგრამების განხორციელებას, სომეხი საზოგადოებისათვის ქართული კულტურული, სპორტული და ეკონომიკური თავისებურებების გაცნობას და ა.შ.

შშმ პირს გული გაუხარეს

ცოტნე ცაბაძე 27 48 93

ბინალ ფუტკარაძეს 65 წელი შეუსრულდა. იგი წლების განმავლობაში შუახევის საგზაო-საწარმოო უბნის მექანიზატორი იყო. 23 წლის წინ გადატანილმა ტრავმამ სამუდამოდ სარეცელს მიაჯაჭვა

ერთ უბედურებას მეორე დაერთო. შშმ პირმა რამდენიმე წლის წინ შვილიც დაკარგა. უცხოეთში მყოფი ვაჟი იძულებული გახდა ცოლ-შვილთან ერთად მამისეულ სოფელ გორში დაბრუნებულიყო და ლოგინად ჩავარდნილი მამისათვის მიეხედა. შვილთან ერთად ბინალს ყურადღებასა და მოვლას არ

აკლებს მეუღლე თინა ფუტკარაძე.

წინასაახალწლოდ შუახევის მუნიციპალიტეტის საკრებულოს თავმჯდომარე როსტომ ლორთქიფანიძე, მისი მოადგილე გიორგი კეკელიძე, საკრებულოს სოციალურ საკითხთა კომისიის თავმჯდომარე ზაზა დავითაძე და საკრებულოს წევრი ვახტანგ ფუტკარაძე ოლადაურის ადმინისტრაციული ერთეულის სოფელ გორის მკვიდრ ბინალ ფუტკარაძეს ბინაზე ეწვივნენ, დამდეგი ახალი წელი მიულოცეს და მათივე ინიციატივით შეძენილი ეტლი საჩუქრად გადასცეს. შშმ პირს დამოუკიდებლად გადაადგილება უჭირს.

- ჩემთვის ეს დიდი საჩუქარია, ამასთან წარმომადგენლობითი ორგანოს ხელმძღვანელი შემპირდა, რომ მომავალში კომპეტენტური ორგანოების წინაშე მიშუამდგომლებს ელექტროეტლის შეძენაზე. ასევე, იყო შეპირება, ჩვენს უბანში მოსასვლელ საავტომობილო გზაზე ბეტონის საფარის დაგებაზე, - გვითხრა ბინალ ფუტკარაძემ

ამბები

მაჭახლის დაცული ლანდშაფტი შეიქმნა

დარინა გაბაიძე 27 48 93

მაჭახლის დაცული ლანდშაფტი ხელვაჩაურის მუნიციპალიტეტში მდებარეობს და მისი საერთო ფართობი 4294 ჰექტარია.

აღნიშნული დაცული ტერიტორიის შექმნის მიზანი მაჭახლის ხეობაში ადამიანისა და ბუნებრივი გარემოს ჰარმონიული ურთიერთქმედების შედეგად ჩამოყალიბებული ბუნებრივ-კულტურული ლანდშაფტის დაცვაა.

დაცული ლანდშაფტი ხელს შეუწყობს ტრადიციული სასოფლო-სამეურნეო საქმიანობის შენარჩუნებას, რეკრეაციული და ტურისტული აქტივობების განხორციელებას, რაც დადებითად აისახება ადგილობრივი მოსახლეობის სოციალურ-ეკონომიკურ მდგომარეობაზე.

მაჭახლის დაცული ლანდშაფტის დაარსების პროცესი მიმდინარეობდა აჭარის ავტონომიური რესპუბლიკის მთავრობის, ხელვაჩაურის მუნიციპალიტეტის, მაჭახლის ხეობის ადგილობრივი მოსახლეობისა და გაეროს განვითარების პროგრამის (UNDP) ფინანსური მხარდაჭერით და საქართველოს გარემოს დაცვისა და სოფლის მეურნეობის სამინისტროსთან თანამშრომლობით.

პროგრამების დაფინანსება გაიზარდა

თამაზ მგზავრიძე 27 48 94

ქედის მუნიციპალიტეტის 2023 წლის ბიუჯეტში ჯანმრთელობისა და სოციალური უზრუნველყოფის მიმართულებით 2 075 200 ლარი დაიხარჯება, რომლის ფარგლებშიც ჯანმრთელობის დაცვის 7 პროგრამა და სოციალური მხარდაჭერის 14 პროგრამა განხორციელდება.

გაიზარდა რიგი პროგრამების დაფინანსება:

ოთხ და მეტშვილიან ბავშვთა ოჯახებზე (18 წლამდე) ერთჯერადი ფინანსური დახმარება მიმდინარე წელთან შედარებით 300 ლარით გაიზარდა და თითოეული ოჯახი 1200 ლარის ნაცვლად მიიღებს 1500 ლარს; „0-დან 18 წლამდე ასაკის შშმ პირთა მოვლის საჭიროებისათვის ფინანსური დახმარების“ ბენეფიციარი 2023 წელს 50 ლარის ნაცვლად მიიღებს 100 ლარს; „გაჭირვებულ ოჯახებში გარდაცვლილ პირთა დასაფლავებისათვის ერთჯერადი ფინანსური დახმარება“ 100 ლარით გაიზარდა; ასევე, თხევადი აირის შეძენა ვეტერანებისათვის კვარტალში ერთხელ, რომელიც 15 კილოგრამი იყო, 2023 წელს 20 კილოგრამი იქნება.

ქედის მუნიციპალიტეტში ჯანმრთელობისა და სოციალური მხარდაჭერის პროგრამის ფარგლებში, მიმდინარე წელს 1 976 060 ლარის პროგრამა განხორციელდა. ასევე, ჯანმრთელობის და სოციალური დაცვის კუთხით სარეზერვო ფონდიდან 184 684 ლარი დაიხარჯა, რომლითაც 298 ბენეფიციარმა ისარგებლა.

რუსეთის მიერ ინსპირირებული სახელმწიფო გადატრიალება

ლაშა ხომერიკი 593 50 82 69

„თუ წარსული არ იცი კარგად, ვერც მომავალს განსაზღვრავ სწორად“ - ამ ეპოქალურ გამონათქვამს ქართველობა, სამწუხაროდ, ხშირად არ ითვალისწინებდა, რამაც ჩვენი ქვეყანა მრავალმხრივ დააზარალა, გავიხსენოთ თუნდაც ბაზალეთის სამარცხვინო ომი და 1991-92 წლების მოვლენები, როცა ქართული პოლიტიკური სპექტრი ერთმანეთს დაერია და ამით ქართული სახელმწიფოებრიობა საფრთხის ქვეშ დააყენა

დიახ, საქართველო ყოველთვის მარცხდებოდა, როდესაც დაყოფილი იყო, როცა განუკითხაობა და უსამართლობა ისადგურებდა ქვეყანაში. სახელმწიფო გადატრიალება ამის თვალსაჩინო მაგალითია, რომელიც დეკემბრის მიწურულს დაიწყო და ასეულობით ქართველის სიცოცხლე შეიწირა, ყოველივე ამან კი ნაწილობრივ, სამაჩაბლოსა და აფხაზეთის დაკარგვაც განაპირობა.

31 წელი გვაშორებს იმ ტრაგიკულ მოვლენებს, რომლებსაც ზოგი თბილისის ომს უწოდებს, ზოგი - სამოქალაქო დაპირისპირებას, ბევრის აზრით კი ეს სულაც რუსეთ-საქართველოს ომი იყო. სანამ ამის შესახებ ვისაუბრებდეთ, მანამდე არანაკლებ მნიშვნელოვან საკითხზე უნდა გავამახვილო ყურადღება: სამწუხაროდ, ქართულ პოლიტიკურ სპექტრში არსებობენ პოლიტიკოსები, რომლებიც არა მხოლოდ სათანადოდ არ აფასებენ კანონიერ ხელისუფლებას (ეს მათი კონსტიტუციური უფლებაა), არამედ აყალბებენ იმდროინდელ ისტორიულ მოვლენებს, ამიტომაც ვალდებულნი ვართ ქრონოლოგიურად გიამბოთ პირველი პრეზიდენტის ღვაწლზე ქვეყნის წინაშე.

ახალს არაფერს ვიტყვი, თუ აღვნიშნავ, რომ ჩვენი ქვეყანა პოსტსაბჭოთა სივრცეში პირველთაგანი იყო იმ ქვეყნებს შორის, რომლებიც არ ეგუებოდნენ კრემლის მუქარებს, საქართველომ უარი განაცხადა ხელი მოეწერა ახალ სამოკავშირეო ხელშეკრულებაზე, ამასთან, კრემლს საქართველოში საბჭოთა რეფერენდუმი საბჭოეთის გახანგრძლივებაზე არ ჩაატარებინა, მხარს უჭერდა ჩრდილოკავკასიურ განმათავისუფლებელ მოძრაობას, თბილისს სტუმრობდნენ ჩრდილოკავკასიელი ლიდერები - ინგუშეთიდან, ჩეჩნეთიდან, ყაბარდო-ბალყარეთიდან, დაღესტნიდან, რომლებიც ზვიად გამსახურდიასთან შეხვედრებს მართავდნენ, საუბრობდნენ საერთო კავკასიური სახლის შექმნის აუცილებლობაზე... მიუხედავად იმისა, რომ კრემლმა დროთა განმავლობაში შეძლო გამსახურდიას და დუდაევის დამხობა, მან ვერ მოახერხა ერთმანეთისთვის დაეპირისპირებინა ჩრდილოეთ კავკასია და საქართველო. ამაში დიდი წვლილი გამსახურდიას და დუდაევს მიუძღვით. სხვათა შორის, ახლა უკრაინაში ქართველი და ჩეჩენი მებრძოლები ერთად ებრძვიან რუსეთის იმპერიას და ეხმარებიან უკრაინას.

ახლა ზემოაღნიშნულ საკითხს დავუბრუნდეთ. არ უნდა დავივიწყოთ, რომ პირველ პრეზიდენტ ზვიად გამსახურდიას ხელისუფლებამ ქვეყნისთვის მნიშვნელოვანი გადაწყვეტილებები მიიღო: 1991 წლის 31 მარტს გაიმართა რეფერენდუმი დამოუკიდებლობის საკითხზე, რომლის დროსაც მოსახლეობის 97 პროცენტზე მეტმა საქართველოს დამოუკიდებლობას დაუჭირა მხარი. ეს იყო პირველი რეფერენდუმი პოსტსაბჭოთა სივრცეში, ხოლო იმავე წლის 9 აპრილს უზენაესმა საბჭომ, 1918 წლის 26 მაისის დამოუკიდებლობის აქტის საფუძველზე, საქართველოს დამოუკიდებლობა გამოაცხადა. ცხადია, იდეალური ხელისუფლება არ არსებობს, მაგრამ გამსახურდიას მთავრობას არ დაუშვია საბედისწერო შეცდომა, რომელიც საქართველოს ინტერესებს დააზარალებდა, ყოველ შემთხვევაში, ასე ამბობენ იმდროინდელი ხელისუფლების წარმომადგენლები. პირველი პრეზიდენტის მიმართ ისმოდა ბრალდება, რომ მხოლოდ ერთი წელი გაძლო და ვერაფერი გააკეთა ქვეყნისთვის, არადა, მან ამ მცირე დროში შეძლო ის, რასაც ზოგიერთი ქვეყანა საუკუნეების განმავლობაში ვერ ახერხებს - დამოუკიდებლობის მოპოვება, გარდა ამისა, გამსახურდიას სამეურნეო ნიჭი გამოჩნდა ექსტრემალურ სიტუაციაში, როდესაც ძლიერი მიწისძვრის შედეგად რაჭა და იმერეთი დაზარალდა.

რა თქმა უნდა, შეცდომები იყო, განსაკუთრებით - საკადრო პოლიტიკაში, მაგრამ ეს სენი მთელი პოსტსაბჭოთა სივრცის პრობლემაა. ამ და სხვა მიზეზების გამოც ხელისუფლების დამხობის გამართლება არ შეიძლება. ანტიზვიადისტები იმასაც ამბობენ, რომ გამსახურდიას დასავლეთში, კერძოდ, აშშ-ში ნაციონალისტად და დიქტატორად ნათლავდნენ. უნდა ითქვას, რომ ამ მხრივ აქტიურობდა კრემლის დეზინფორმაციული მანქანა, ათასი სიცრუე იბეჭდებოდა გამსახურდიას შესახებ, თავად გამსახურდიას კი არ ეძლეოდა მათი გაბათილების შესაძლებლობა. როცა აშშ-ის მაშინდელმა პრეზიდენტმა ჯორჯ ბუშმა (უფროსმა) გამსახურდიას უთხრა, „დინების საწინააღმდეგოდ მიცურავ“, ზვიადმა მოსწრებულად მიუგო: „დინებას მკვდარი თევზები მიჰყვებიან“. ამ დაპირისპირების მიზეზი ის გახდა, რომ ჩვენმა პრეზიდენტმა უარი თქვა ახალ სამოკავშირეო ხელშეკრულებაზე, ანუ არ დათანხმდა განახლებულ იმპერიაში გაერთიანებას. სხვათა შორის, ბუში უკრაინის მაშინდელ პრეზიდენტ კრავჩუკსაც ურჩევდა კრემლთან კომპრომისს, მაგრამ, უნდა ითქვას, რომ უკრაინის პრეზიდენტის, ასევე საქართველოს, ბალტიისპირეთის რესპუბლიკების შეუპოვრობამ, ფაქტობრივად, გადაწვიტა საბჭოეთის ბედი.

ანტიზვიადისტები ხშირად ამბობენ, რომ 1991-1992 წლების მოვლენები იყო სამოქალაქო ომი, რაც არამართებული შეფასებაა, რადგან სამოქალაქო ომი მიმდინარეობს ქვეყნის მთელ ტერიტორიაზე მოსახლეობას შორის, ასეთი რამ კი არ ყოფილა, ეს იყო ტიპური სახელმწიფო გადატრიალება. ასეთი ფორმულირების საფუძველი იმან მოგვცა, რომ ეროვნული ხელისუფლება შეიარაღებული გზით დაამხეს არა კიტოვანმა და სიგუამ, არამედ რუსეთმა, რასაც ადასტურებს თავად ჯაბა იოსელიანი თავის წიგნში „მესამე განზომილება“, უნდა ვიცოდეთ, რომ მთავრობის სასახლის დამცველებმა 25 დეკემბერს მთლიანად გაწმინდეს მიმდებარე ტერიტორია ამბოხებულებისგან, აი, შემდეგ ჩაერთო საქმეში ამიერკავკასიის შეიარაღებული ძალები... ამის შესახებ ახლა უფრო მეტი მტკიცებულებები იდება. სხვათა შორის, აშშ-ის ანალიტიკოსთა წრეებში ამბობენ, რომ პირველი თავდასხმა კრემლმა საქართველოს კანონიერ ხელისუფლებაზე მიიტანა. რუსეთის ამგვარი დახმარება რომ არა, სახელმწიფო გადატრიალება არ მოხდებოდა. ანალოგიური რამ მოხდა 1993 წელს, როდესაც ადმირალ ბალტინის დახმარებით შევარდნაძემ ძალაუფლება შეინარჩუნა (თუმცა ისიც უდავოა, რომ შევარდნაძემ შემდეგ შეძლო, გარკვეულწილად, ქვეყნის ფეხზე დაყენება, განახორციელა რეფორმები და რაც მთავარია, ძალაუფლება მშვიდობიანად გადააბარა ახალ ხელისუფლებას). ამ დახმარების სანაცვლოდ, საქართველო დსთ-ში გაერთიანდა... სხვათა შორის, პოლიტიკოსთა ნაწილი თვლის, გამსახურდია რომ დათანხმებულიყო დსთ-ში შესვლას, პუტჩი არ მოხდებოდა, მრავალჯერ ითქვა, რომ კრემლიდან იყო მუქარები, ითხოვდნენ, დათანხმებულიყო დსთ-ში შესვლას, ამის შესახებ საუბრობდა მაშინდელი პარლამენტის თავმჯდომარის მოადგილე ნემო ბურჭულაძე: „ელცინმა ალმა-ათაში დსთ-ის პირველ სამიტზე მითხრა, რომ 22 დეკემბრის დილის 8 საათამდე ელოდებოდა გამსახურდიას ზარს დსთ-ში გაერთიანების თაობაზე და ისიც დაამატა, რომ თუ საქართველო არ გაერთიანდება ამ კავშირში, მაშინ პრობლემები გექნებათო“... ასეც მოხდა. ზვიად გამსახურდიას შეეძლო კრემლის პირობების შესრულება, მაგრამ მაშინ დაკარგავდა ქართველი ერის თვალში ნდობას, ამიტომაც არ დათანხმდა მოსკოვის მოთხოვნას. ამავე კონტექსტში ისმის კითხვა: ზვიად გამსახურდიას დამხობა მხოლოდ რუსეთის ინტერესებში შედიოდა თუ დასავლეთისაშიც? ცხადია, ამ საკითხით დასავლეთი და რუსეთი თანაბრად არ იყვნენ დაინტერესებულნი, გამსახურდიას განეიტრალება ხელს, ძირითადად, რუსეთს აძლევდა. დასავლეთმა, უბრალოდ, ხელი არ შეუშალა ამ სახელმწიფო გადატრიალებას და ჩვენი ქვეყანა, გარკვეულწილად, რუსეთის ორბიტაში დატოვა, რამაც მოსკოვს სამომავლოდ ქართული ტერიტორიების ოკუპაცია გაუადვილა, აფხაზეთის და ცხინვალის რეგიონის დაკარგვა, ქართველთა გათიშულობამაც განაპირობა. არადა, იმ პერიოდში მოსკოვი გლობალურ პოლიტიკაში ჰეგემონის როლს ვერ ასრულებდა, რასაც მოწმობს თუნდაც ბალტიისპირეთის ქვეყნების გაერთიანება ნატოსა და ევროკავშირში. იმ დროს ჩვენ რომ ერთიანი ვყოფილიყავით, კრემლი საწადელს ვერ მიაღწევდა. ვთქვათ სიმართლე, ჩვენ გავუადვილეთ მოსკოვს მიზნების მიღწევა. ქართველებმა ვერ შეეძელით კომპრომისის მიღწევა გარკვეულ საკითხებში. ანალოგიური რამ არ განმეორდება. ვგულისხმობ იმას, რომ ჯერ ერთი, ახლა ქართული სახელმწიფო ძლიერია და მეორეც, ოპოზიციაც სახელმწიფოებრივად მოქმედებს, რა თქმა უნდა, რუსეთი არ გაკეთილშობილებულა, უკრაინისადმი აგრესია ამის თვალსაჩინო მაგალითია. იგი ახლა იღვწის იმისთვის, რომ საქართველომ არ მიიღოს წევრობის კანდიდატის სტატუსი, რაც, ფაქტობრივად, საქართველოს რუსეთის ორბიტაზე დაბრუნებას გულისხმობს. ამჟამინდელმა პოლიტიკურმა კლასმა ეს საშიშროება უნდა გაითვალისწინოს და ქვეყნისთვის მნიშვნელოვანი საკითხები ურთიერთშეთანხმებით გადაწყვიტოს, რაც ცივილიზებული სახელმწიფოებისთვისაა დამახასიათებელი.

> *„ისმის კითხვა: ზვიად გამსახურდიას დამხობა მხოლოდ რუსეთის ინტერესებში შედიოდა თუ დასავლეთისაშიც? ცხადია, ამ საკითხით დასავლეთი და რუსეთი თანაბრად არ იყვნენ დაინტერესებულნი, გამსახურდიას განეიტრალება ხელს, ძირითადად, რუსეთს აძლევდა. დასავლეთმა, უბრალოდ, ხელი არ შეუშალა ამ სახელმწიფო გადატრიალებას და ჩვენი ქვეყანა, გარკვეულწილად, რუსეთის ორბიტაში დატოვა, რამაც მოსკოვს სამომავლოდ ქართული ტერიტორიების ოკუპაცია გაუადვილა*

უცხოეთი

მოსკოვი იმედოვნებს, რომ ვაშინგტონი საკმარის წინდახედულებას გამოიჩენს, რათა თავიდან აიცილოს სიტუაციის ესკალაცია პირდაპირ დაპირისპირებამდე, - ამის შესახებ რუსეთის საგარეო საქმეთა სამინისტროს ჩრდილოეთ ამერიკის დეპარტამენტის ხელმძღვანელმა ალექსანდრე დარჩიევმა განაცხადა. „შეიძლება მხოლოდ იმედი ვიქონიოთ, რომ ვაშინგტონი ყურს დაუგდებს გონების ხმას და არ დაუშვებს სიტუაციის ესკალაციას რუსეთსა და შეერთებულ შტატებს შორის პირდაპირ დაპირისპირებამდე, წინააღმდეგ შემთხვევაში გაწყვეტილი დიპლომატიური კავშირები რეალობად იქცევა ყველა სათანადო შედეგით“, - განაცხადა რუსმა დიპლომატმა. მისი თქმით, ვაშინგტონსა და მოსკოვს შორის ურთიერთობების გაუარესება თავად აშშ-მა გამოიწვია და არა რომელიმე სხვა ქვეყანამ.

* * *

თუ გვსურს საჯარო ნდობის აღდგენა, დროა, ევროპარლამენტი გავაუქმოთ, - ამის შესახებ უნგრეთის პრემიერ-მინისტრმა ვიქტორ ორბანმა განაცხადა. იგი ასეთი ფორმით ევროპარლამენტის ახლანდელ სკანდალს გამოეხმაურა. ორბანი გამოვიდა იდეით, შეიქმნას ახალი ევროპარლამენტი, რომელიც ეროვნული დელეგატებისგან იქნება შემდგარი. „ეს უზრუნველყოფს უფრო მეტ ზედამხედველობას, ანგარიშვალდებულებას და სანდოობას. დაუბრუნეთ კონტროლი წევრ სახელმწიფოებს!“ - თქვა მან.

* * *

ყველა შეიარაღებული კონფლიქტი მოლაპარაკებებით მთავრდება და რაც უფრო მალე გახდება ეს კიევისთვის ნათელი, მით უკეთესი, - ამის შესახებ რუსეთის პრეზიდენტმა ვლადიმერ პუტინმა პრესის წარმომადგენლებთან საუბრისას განაცხადა. მან ყურადღება გაამახვილა იმ ფაქტზე, რომ ადრე თუ გვიან კონფლიქტის ყველა მხარე თანხმდება. „რუსეთის სამხედრო ბაზა იზრდება, უკრაინული სამხედრო-სამრეწველო კომპლექსი კი, თუ ჯერ კიდევ მთლიანად არ არის განულებული, ამისკენ სწრაფად მიიწევს. უკრაინისგან განსხვავებით, რუსეთმა ბოლო ათწლეულების განმავლობაში თავდაცვის ინდუსტრია, სამხედრო მეცნიერება და ტექნოლოგია განავითარა“, - დასძინა პუტინმა.

* * *

ბენიამინ ნეთანიაჰუმ ისრაელის პრეზიდენტს აცნობა, რომ კოალიციური მთავრობის ფორმირებაზე შეთანხმებას მიაღწია. „მე მოვახერხე მთავრობის ფორმირება“, - დაწერა ნეთანიაჰუმ „ტვიტერზე“ ისრაელის პრეზიდენტ ისაკ ჰერცოგის მიერ მთავრობის ფორმირებისთვის დადგენილ ვადამდე რამდენიმე წუთით ადრე. მედიის ინფორმაციით, ახალი მთავრობა ისრაელის ისტორიაში ყველაზე მემარჯვენეა, რადგან ნეთანიაჰუს კოალიციაში რამდენიმე ულტრამემარჯვენე პარტია შედის. ბენიამინ ნეთანიაჰუ, რომელმაც ნოემბერში არჩევნებში გაიმარჯვა, პრემიერ-მინისტრის პოსტზე მეექვსე ვადით იმუშავებს. პალესტინელები შიშობენ, რომ ახალი მთავრობა გააძლიერებს ისრაელის კონტროლს მდინარე იორდანეს დასავლეთ სანაპიროზე.

მოამზადა
ია შველიძემ

„მედიცინის დღე“

დარინა გაბაიძე 27 48 93

აჭარის ჯანმრთელობისა და სოციალური დაცვის სამინისტროს ორგანიზებით, 23 დეკემბერს, ტრადიციულად, მედიცინის დღისადმი მიძღვნილი ღონისძიება გაიმართა. უწყებამ გაწეული განსაკუთრებული წვლილისათვის 9 პირი დაჯილდოვა. მათ შორის იყვნენ ონკოლოგები, კარდიოქირურგები, კარდიოლოგები, პულმონოლოგი, არასამთავრობო ორგანიზაციები. მედიკოსებს პროფესიული დღე მიულოცეს მინისტრმა ნინო ნიჟარაძემ, მთავრობის, უმაღლესი საბჭოს და ბათუმის მერიის წარმომადგენლებმა. აჭარაში „მედიცინის დღე“ ყოველი წლის 23 დეკემბერს 1996 წლიდან აღინიშნება

ღონისძიებაზე წარმოდგენილი იყო სამინისტროს (მათ შორის საზოგადოებრივი ჯანდაცვის ცენტრისა და დასაქმების სააგენტოს) საქმიანობის 2022 წლის ანგარიში და 2023 წელს დაგეგმილი სიახლეები. ითქვა, რომ სამინისტრო ჯამში 36 პროგრამას ახორციელებს, მიმდინარე წელს პროგრამებით 47 022 მოქალაქემ ისარგებლა.

სამინისტროს 2023 წლის ბიუჯეტი თითქმის 4 მილიონი ლარით გაიზრდება. 2022 წელს ბიუჯეტი 28 მილიონ 907 795 ლარს შეადგენდა. მომავალი წლის ბიუჯეტი კი 33 235 000 ლარით განისაზღვრა. აჭარის მთავრობის სარეზერვო ფონდით, ჯანმრთელობისა და სოციალური დაცვის მიმართულებით დაფინანსდა - 1 892 მოქალაქე 4 228 245 ლარით, სტიქიისა და ხანძრის შედეგად დაზარალებული 158 ოჯახი - 1 924 153 ლარით.

2022 წელს ამოქმედდა ახალი პროგრამა „უშვილო წყვილების დიაგნოსტიკისა და მკურნალობის დაფინანსება“.

2023 წელს ამოქმედდება ახალი პროგრამები: ალკოჰოლის მიღებით გამოწვეული ფსიქიკური და ქცევითი აშლილობის მქონე პაციენტების სტაციონარული მომსახურება და თვალის ბადურის მძიმე დაავადებების მკურნალობა. შშმ სტატუსის მქონე მშობლის და ორსულის ერთჯერადი მატერიალური დახმარება 2000 ლარის ოდენობით.

ჯანმრთელობის დაცვის პროგრამების ბიუჯეტი 12 მილიონ 369 760 ლარს შეადგენდა. მათ შორის: გულის ქირურგიის დამატებითი სამედიცინო მომსახურების პროგრამის ფარგლებში 1 ნოემბრიდან სრულად ფინანსდება გულის ქირურგია.

2023 წელს 80-100 %-მდე გაიზრდება იმ სამედიცინო მომსახურების დაფინანსება, რომელიც არ არის განსაზღვრული DRG მეთოდით; 90-100 %-მდე გეგმური გულის ან/და კორონარული არტერიების ანგიოგრაფია. გულის ტრანსპლანტაცია - 2021-22 წლებში დაუფინანსდა 4 პაციენტს, გამოიყო 800 000 ლარი.

2023 წელს ძვლის ტვინის ტრანსპლანტაციის დაფინანსება გაიზრდება 220 000 ლარამდე. დაფინანსება დაიწყო 2018 წლიდან. 2022 წელს დაიწყო მოზრდილი მოსახლეობის ტრანსპლანტაციის დაფინანსება პაციენტის სურვილის გათვალისწინებით, ჯამში დაფინანსდა 42 პაციენტი, გამოიყო 3 415 600 ლარი.

2023 წელს გაიზრდება დაფინანსება: აუტოლოგიური ტრანსპლანტაციისა - 95 000 - 125 000 ლარამდე, ალოგენური ტრანსპლანტაციისა - 170 000 - 200 000 ლარამდე, ჰაპლოიდური ტრანსპლანტაციისა - 205 000 - 235 000 ლარამდე.

ავთვისებიანი სიმსივნის მკურნალობა 2022 წლის 1 ნოემბრიდან

აჭარაში სრულად ფინანსდება. ასევე: ონკოქირურგია, 90-100 %-ით ძუძუს კიბოს საწინააღმდეგო თარგენტული, იმუნოთერაპიული და ბისფოსფონატების ჯგუფის მედიკამენტები, ძვირადღირებული ლაბორატორიული კვლევები.

2023 წელს გაიზრდება: სიმსივნის საწინააღმდეგო მედიკამენტების ნუსხა და წლიური ლიმიტი იქნება 25 000 ლარამდე; თითოეულ მომართვაზე დასაფინანსებელი თანხის ოდენობა - 10 000 ლარამდე; პოზიტრონ-ემისიური კომპიუტერული ტომოგრაფიული (PET/CT) კვლევის დაფინანსება - 90-100% -მდე.

ძვირადღირებული მედიკამენტური მკურნალობა - გაფანტული სკლეროზის, რევმატოიდული ართრიტის, ფსორიაზი-ფსორიაზული ართრიტის, მაანკილოზირებელი სპონდილიტის პროგრამების ფარგლებში 2022 წელს ისარგებლა 53 პაციენტმა და გამოიყო 476 518 ლარი.

საზოგადოებრივი ჯანდაცვის 2022 წლის ბიუჯეტი 3 მილიონ 294

640 ლარს შეადგენდა. 2022 წელს დაიწყო ტყვიის ექსპოზიციის კვლევა 7-14 წლის ასაკის ბავშვებში. ჯამში განახორციელა 8 მიზნობრივი პროგრამა.

2023 წელს ამოქმედდება ახალი პროგრამები: სისხლში ტყვიის მაღალი ექსპოზიციის მქონე ბენეფიციართა საცხოვრებელი გარემოს შესწავლა, მშობელთა სკოლა ორსულთა ფიზიკური და ფსიქოლოგიური ჯანმრთელობისათვის და ახალშობილთა მეტაბოლური სკრინინგი.

სოციალური დაცვის პროგრამების 2022 წლის ბიუჯეტი 10 მილიონ 099 448 ლარს შეადგენდა. გაიზრდება პროგრამების ბიუჯეტი და ბენეფიციართა რაოდენობა. მოსახლეობის გარკვეული კატეგორიების თავშესაფრით უზრუნველყოფის პროგრამის ფარგლებში დაემატება მე-4 საცხოვრისი.

ეკომიგრანტი ოჯახების საცხოვრებლით უზრუნველყოფის პროგრამის ფარგლებში 2022 წელს შეძენილა 72 საცხოვრებელი ფართი, გამოიყო 2 მილიონ 160 000 ლარი. 2023 წელს თანადაფინანსება გაიზრდება 40 000 ლარამდე.

დასაქმების სააგენტოს 2022 წლის ბიუჯეტი 888,460 ლარს შეადგენდა. 2022 წელს განხორციელდა 980 სამუშაოს მაძიებლის, 292 კომპანიის, 1278 ვაკანსიის შესაბამისი და 2615 სამუშაო ადგილის რეგისტრაცია. დასაქმდა 887 სამუშაოს მაძიებელი და გადამზადდა 446 ბენეფიციარი.

2023 წელს პირველად დაიწყება: ინფორმაციულ ტექნოლოგიურ სფეროში დასაქმება-თვითდასაქმებისათვის საჭირო უნარების განვითარება და დასაქმებისა და თვითდასაქმების ხელშეწყობა სამუშაო იარაღებით უზრუნველყოფის გზით.

„მედიცინის დღესთან“ დაკავშირებით ჩვენ კომენტარი ვთხოვეთ დაჯილდოებულ მედიცინის და, ასევე, არასამთავრებო ორგანიზაციის წარმომადგენლებს.

ორგანიზაცია „ცვლილებები თანაბარი უფლებებისთვის“ თავმჯდომარე თომა კაკაბაძე:

- ჩვენი ორგანიზაცია და აჭარის ჯანდაცვის სამინისტრო წლებია, ვთანამშრომლობთ. ჩვენ კონკრეტულად შშმ პირებისთვის პროგრამების გაუმჯობესების კუთხით ვაყენებთ ინიციატივებს. მინდა აღვნიშნო, რომ წარმატებით მიმდინარეობს თანამშრომლობა, გამომდინარე იქიდან, რომ ჩვენს ინიციატივებს მუდმივად დადებითად ხვდებიან. მაგალითად, ასეთი თანამშრომლობის შედეგია ამწევი აპარატების პროგრამა, 2023 წელს ჩაეშვება ნაწოლებისგან დამცავი ბალიშების პროგრამა და ა.შ. ეს არის მნიშვნელოვანი პროცესი, როდესაც სახელმწიფოსა და არასამთავრებო სექტორს შორის წარმატებული თანამშრომლობის მაგალითები იქმნება და ისინი პროგრამების სახით იქნება გათვალისწინებული ბიუჯეტში. გვაქვს ნაკისრი ვალდებულება, ვითანამშრომლოთ იმისათვის, რომ პროგრამები იქნება თუ სერვისები, რასაც ახორციელებს რეგიონი, კეთდებოდეს ნებისმიერი ადამიანის საჭიროებებზე მორგებით.

ონკოქირურგი, მამოლოგი თემურ გოგიტიძე:

- მსგავსი ღონისძიებები სასიამოვნოა, რადგან ჩვენ შეგვიძლია ორმხრივად შევაფასოთ ჩვენი მუშაობის შედეგები. არ არსებობს ნორმალური მედიცინა სახელმწიფო დახმარების გარეშე. თუკი სახელმწიფოსთვის პრიორიტეტული არ არის თავისი მოქალაქეების ჯანმრთელობა, არაფერი გამოვა. ჩვენ დავინახეთ დღეს, თუ რამდენად მაღალია ჩართულობა აჭარის ჯანდაცვის სამინისტროსი, რამდენად კარგ პროექტებს აწარმოებენ ისინი. სასიამოვნოა, რომ დაფასებულია ექიმების შრომა და დღეს გადმოგვცეს ჯილდოები. რაც მთავარია, ეს ჯილდო არის იმის სტიმული, რომ მეტი გავაკეთო მომავალში საზოგადოებისთვის და მათი ჯანმრთელობისთვის.

ონკოქირურგი მზია ხალვაში:

- „მედიცინის დღესთან“ დაკავშირებით მივიღე აჭარის ჯანდაცვის სამინისტროსგან სიგელი, რომელიც ჩემთვის ძალიან მნიშვნელოვანია და სასიამოვნოდ აღფრთოვანებული ვარ. მადლობა მინდა გადავუხადო აჭარის ჯანდაცვის სამინისტროს. დღევანდელ დღეს ვულოცავ მთელ სამედიცინო სფეროს და ვუსურვებ ყოველივე საუკეთესოს.

აჭარის ჯანმრთელობისა და სოციალური დაცვის მინისტრი ნინო ნიშარაძე:

- დღევანდელი ღონისძიება ჯანდაცვის სამინისტროს მიერაა ორგანიზებული. აქ წარმოდგენილი არიან ჩვენი რეგიონის წამყვანი სპეციალისტები სხვადასხვა მიმართულებით, დავაჯილდოვეთ რამდენიმე მათგანი განსაკუთრებული წვლილისთვის. თითოეული მედიკოსი იმსახურებს ჩვენს მადლიერებას. მინდა ვუსურვო მათ უფრო მეტი მადლიერი პაციენტები ჰყოლოდეთ.

უკრაინა

მსოფლიოს 60 ცნობილ ლოკაციაზე წლის ყველაზე გრძელ ღამეს უკრაინის მიმართ სოლიდარობის ნიშნად შუქი გამორთეს. ინფორმაციას ამის შესახებ უკრაინის პრეზიდენტი ვოლოდიმირ ზელენსკი „ტელეგრამის“ პირად არხზე ავრცელებს. „როდესაც შუქი ქრება - ეს ყოველთვის აღიქმება როგორც რაღაც უჩვეულო. მაგრამ როდესაც მის გარეშე ოთხ, ათ, ოც საათს ან დღეებს ატარებ და სიბნელეს ეჩვევი - ეს ყველაზე ცუდია, რაც შეიძლება მოხდეს“, - განაცხადა ზელენსკიმ. უკრაინის პრეზიდენტის თქმით, „ეს ნიშნავს, რომ შუქი ერთადერთი რამ არ არის, რისი წართმევაც სურთ, ეს ცხოვრების ყოველი ნაწილის ხელყოფაა“. „2022 წლის ყველაზე გრძელ ღამეს მსოფლიოს 60-ზე მეტმა ყველაზე ცნობილმა ლოკაციამ შუქი გამორთო ჩვენს სახელმწიფოსთან სოლიდარობის ნიშნად და თავის სტუმრებს უკრაინული საავადმყოფოებისთვის გენერატორებზე ფულის შეგროვებისკენ მოუწოდა“, - აღნიშნა ზელენსკიმ. უკრაინის პრეზიდენტმა ასევე გამოაქვეყნა ვიდეო, სადაც ჩანს, აქციას როგორ უერთდებიან ნიუ-იორკი, ლონდონი, პარიზი, რომი, პრაღა, ბრიუსელი, სტრასბურგი, პორტუ, ვილნიუსი, ვატიკანი, ბუდაპეშტი, სოფია, ვარშავა, ედინბურგი, ცეტინე, სიდნეი, ონტარიო.

* * *

უკრაინის შეიარაღებული ძალების გენერალური შტაბის განცხადებით, რუსი დამპყრობლები ბახმუტის დაკავებას უკვე რამდენიმე კვირაა უშედეგოდ ცდილობენ. მათივე ცნობით, საომარი მოქმედებები ინტენსიურად მიმდინარეობს ავდეევკის მიმართულებითაც. გენშტაბის ინფორმაციით, მტერი ტაქტიკური მდგომარეობის გაუმჯობესებას კუპიანსკის და ლიმანის მიმართულებებითაც ცდილობს. უკრაინის ენერგომომწოდებლის აღმასრულებელი დირექტორის, სერგეი კოვალენკოს ინფორმაციით, რუსეთის ინტენსიური ავიაიერიშების შედეგად ათასობით უკრაინელს ელექტროენერგია ჯერ კიდევ არ მიეწოდება. მისივე თქმით, ამ მხრივ ყველაზე მეტად უკრაინის დედაქალაქი კიევია დაზიანებული, სადაც მოსახლეობის 60%-ზე მეტს ელექტროენერგია 18-19 დეკემბრის ღამის შემდეგ არ მიწოდებია.

* * *

კრემლის პრესსპიკერი დიმიტრი პესკოვი აცხადებს, რომ რუსეთმა უკრაინის ე.წ. „დემილიტარიზაციის“ კუთხით მნიშვნელოვან პროგრესს მიაღწია. „შეგვიძლია ვთქვათ, რომ დემილიტარიზაციის გზაზე მნიშვნელოვანი პროგრესია“, - აღნიშნა პესკოვმა. შეგახსენებთ, რუსეთის პრეზიდენტმა, ვლადიმერ პუტინმა გუშინ გამართულ პრესკონფერენციაზე განაცხადა, რომ რუსეთი ხარჯავს სამხედრო მარაგებს, ეს დიდი ციფრებია, მაგრამ განსხვავება უკრაინის სამხედრო-სამრეწველო კომპლექსთან შედარებით, დიდია - კიევს მალე რეზერვები აღარ ექნება. პუტინმა ამერიკულ Patriot-ის სარაკეტო სისტემას „საკმაოდ ძველი სისტემა“ უწოდა, რომელიც, მისი თქმით, არ მუშაობს რუსეთის G-300-ის მსგავსად.

* * *

პენტაგონში Patriot-ის სარაკეტო სისტემების გამოყენებისთვის უკრაინელი სამხედროების შეერთებულ შტატებში მდებარე სამხედრო ბაზაზე გაწვრთნის საკითხს განიხილავენ, - ინფორმაციას გამოცემა olitico აშშ-ის თავდაცვის უწყების ორ ოფიციალურ პირზე დაყრდნობით ავრცელებს. გამოცემა წერს, რომ უკრაინაში რუსეთის შეჭრის შემდეგ, უკრაინის შეიარაღებულმა ძალებმა წვრთნები ნატოს მიერ მიწოდებული იარაღის უამრავი სისტემის გამოყენებაზე გაიარეს, მათ შორის, აშშ-ის წარმოების მაღალი მობილურობის საარტილერიო სარაკეტო სისტემაზე, აღმოსავლეთ ევროპაში, გერმანიასა და გაერთიანებულ სამეფოში, მაგრამ შეერთებული შტატების ტერიტორიაზე ამ დრომდე არცერთი წვრთნა არ ჩატარებულა. ერთ-ერთი წყაროს განმარტებით, ლოგიკური იქნებოდა, წვრთნის ჩატარება ფორტ სილის ბაზაზე, ოკლაჰომაში, სადაც ინსტრუქტორებისა და აღჭურვილობის უმეტესობაა განთავსებული. წვრთნის ჩატარება შესაძლებელი იქნება ევროპაშიც, თუმცა ეს ლოჯისტიკური თვალსაზრისით უფრო რთული იქნება.

* * *

ჩრდილოეთ კორეის საგარეო საქმეთა სამინისტრო უარყოფს მედიაში გავრცელებულ ინფორმაციას იმასთან დაკავშირებით, რომ რუსეთს საბრძოლო მასალას აწვდიან. „იაპონური მედიის მცდარი ინფორმაცია იმის შესახებ, რომ კორეის სახალხო დემოკრატიულმა რესპუბლიკამ რუსეთს საბრძოლო მასალები შესთავაზა, არის აბსურდი, რომელიც კომენტარს ან ინტერპრეტაციას არ იმსახურებს“, - აცხადებენ ჩრდილოეთ კორეის საგარეო საქმეთა სამინისტროში. ცნობისათვის, იაპონურ მედიაში გავრცელდა ინფორმაცია, რომ ჩრდილოეთ კორეამ გასულ თვეში იაპონიის საზღვრის გავლით რუსეთში საბრძოლო მასალები, მათ შორის, საარტილერიო ჭურვები, გაგზავნა და დამატებითი გადაზიდვები უახლოეს კვირებშია მოსალოდნელი. ამასთან, თეთრი სახლის ინფორმაციით, აშშ-ის დაზვერვის ოფიციალურმა პირებმა დაადგინეს, რომ ჩრდილოეთ კორეამ რუსულ კერძო სამხედრო კომპანია „ვაგნერს“ იარაღი მიაწოდა და სავარაუდოდ, მიწოდების გაგრძელებას გეგმავს.

მოამზადა
ნაირა ფუტკარაძემ

საქართველოში არასრულწლოვანებისთვის პიროტექნიკის მიყიდვა 2018 წლიდან დასჯადია, თუმცა პრობლემა დღემდე მოუგვარებელია

ზიქრია დავლაძე 579 25 25 72

ახალი წლის მოახლოებასთან ერთად ქუჩაში ხშირია ე.წ. ბომბაჩკების და სხვადასხვა პიროტექნიკის აფეთქება, რაც გამვლელებისთვის დისკომფორტიცაა და ამასთან, საფრთხის შემცველიც. პიროტექნიკას ძირითადად, მოზარდები აფეთქებენ. გამოკითხულთა თქმით, პროცესი უკონტროლოა და ყოველწლიურად ამიტომაცაა საახალწლო ასაფეთქებელი საშუალებებით დაზარალების შემთხვევა ასე ხშირი. მოქალაქეები ამბობენ, რომ სკვერებში, დასახლებულ პუნქტებში და სხვა ტერიტორიებზე გავლა საფრთხეს წარმოადგენს, ბავშვებს მარტო ვერ უშვებენ, რადგან შესაძლოა მათმა თანატოლმა „ბომბის“ აფეთქებით შეაშინოს ან დაუშავოს რამე. ხშირია ისეთი შემთხვევაც, როდესაც არასრულწლოვნებს ხელში გაუსკდებათ ხოლმე პატარა ზომის ასაფეთქებლები და სხეულზე ზიანს იყენებენ, შედეგად სასწრაფო სამედიცინო დახმარებაც დასჭირვებიათ.

როგორც გაზეთ „აჭარას“, აჭარის საგანგებო სიტუაციების კოორდინაციისა და გადაუდებელი დახმარების ცენტრში განუცხადეს, ამ ეტაპზე პიროტექნიკით დაშავებულების შესახებ ინფორმაცია არ შესულა. ძირითადად დაშავების შემთხვევები ახალი წლის წინა დღეებში ხდება. როგორც უწყებაში განაცხადეს, ახალი წლის დღეებში კიდურების, განსაკუთრებით კი ხელის დაზიანებებით შედიან სამედიცინო დაწესებულებებში. საგანგებო სიტუაციების კოორდინაციისა და გადაუდებელი დახმარების ცენტრი სიფრთხილისკენ მოუწოდებს მოსახლეობას.

საქართველოში არასრულწლოვნებისთვის პიროტექნიკის მიყიდვა 2018 წლიდან დასჯადია, თუმცა ამის მიუხედავად მათთვის საახალწლო ასაფეთქებლები მაინც ხელმისაწვდომია. ის, ვინც არასრულწლოვანს პიროტექნიკას მიჰყიდის, ფიზიკური პირის შემთხვევაში 100-ით, ხოლო იურიდიული პირის შემთხვევაში 200 ლარით ჯარიმდება. განმეორების შემთხვევაში ჯარიმა ორმაგდება. გაზეთმა „აჭარამ“ გამოკითხა მაღაზიების ხელმძღვანელი პირები, აკონტროლებენ თუ არა, რომ მოზარდებმა მათთან არ შეიძინონ პიროტექნიკა? გამოკითხულთა ნაწილის თქმით, ასაფეთქებლებს არასრულწლოვანებს მხოლოდ იმ შემთხვევაში მიჰყიდიან, თუ მას ზრდასრული პირი ახლავს, ზოგიერთი მაღაზიის მეპატრონეს კი შეგნებულად არ შემოაქვს საახალწლო ასაფეთქებელი საშუალებები. ამბობენ, რომ ამას მოზარდების უსაფრთხოების მიზნით აკეთებენ. მათივე თქმით, ხდება ისეც, რომ უფროსებს იყენებენ „ბომბაჩკების“ შესაძენად, შემდეგ კი თავად აფეთქებენ. ამიტომ მიაჩნიათ, რომ მშობელმა უნდა აკონტროლოს არასრულწლოვანი სად ხარჯავს ფულს, რომელსაც ოჯახი აძლევს.

გიორგი კირთაძის საქმეზე დაკავებული პირი 5000-ლარიანი გირაოს სანაცვლოდ გაათავისუფლეს

ზიქრია დავლაძე 579 25 25 72

„ერთიანი ნაციონალური მოძრაობის“ წევრ გიორგი კირთაძეზე თავდასხმის ფაქტის გამო ერთი პირი იყო დაკავებული. როგორც შინაგან საქმეთა სამინისტროში მაშინ გვითხრეს, გამოძიება პოლიტიკური მოღვაწეობის გამო ჩადენილი ძალადობის მუხლით დაიწყო და დამნაშავეს სამწლიანი პატიმრობა ემუქრებოდა. ასევე, გაზეთ „აჭარასთან“ საუბრისას შსს-ში მომხდარ ფაქტთან დაკავშირებით განაცხადეს, რომ გამოძიება ხულიგნობის მუხლითაც მიმდინარეობს. დაწყებულია ადმინისტრაციული წარმოება ორ პირზე, რომლებიც უშუალოდ თავდასხმაში მონაწილეობდნენ. გიორგი კირთაძემ გაზეთ „აჭარასთან“ საუბრისას თქვა, რომ თავდასხმა დაგეგმილი იყო და მის უკან სუსი და „ქართული ოცნება“ დგას.

- ეს იყო ორგანიზებული თავდასხმა, მე არა ამ ადამიანის, არამედ ორგანიზატორების დასჯას მოვითხოვ. საზოგადოებაში სიძულვილის დათესვით არიან დაკავებულები. დარწმუნებული ვარ, რომ ეს „ქართული ოცნებისა“ და სუსის მიერაა მართული. ადამიანები ქუჩაში კვერცხებჩაწყობილი არ დადიან, - გვითხრა გიორგი კირთაძემ. ტელეკომპანია „ფორმულას“ ჟურნალისტი თამარ თედიაშვილი ამ დრომდე ძალოვან უწყებას არ გამოუკითხავს. როგორც თავად ამბობს, გამოძიება ჟურნალისტური საქმიანობის ხელის შეშლის ფაქტზე ჯერაც არ დაწყებულა.

- მიუხედავად იმისა, რომ ყველაფერი ხდებოდა პირდაპირ ეთერში და კადრებით ნათელი იყო, რა მოვლენებიც განვითარდა, შინაგან საქმეთა სამინისტრომ არ ჩათვალა საჭიროდ ჩემი გამოკითხვა. ამ დრომდე არ დავუბარებივარ არავის, არ ვიცი, ამის შემდეგ თუ დამიბარებენ და დეტალებს გამომკითხავენ. ვფიქრობ, რომ ყველაფერი ისედაც ნათელია. გამოძიება მხოლოდ პოლიტიკური მოღვაწეობის გამო ჩადენილი ძალადობის მუხლით დაიწყო, რაც შეეხება ჟურნალისტური საქმიანობის შეშლის ფაქტს, ამაზე არ დაწყებულა, - განაცხადა ტელეკომპანია „ფორმულას“ ჟურნალისტმა თამარ თედიაშვილმა.

შეგახსენებთ, რომ, 19 დეკემბერს, ალტ-ინფოს ოფისის მიმდებარე ტერიტორიაზე ტელეკომპანია „ფორმულას“ ეთერში იმყოფებოდა „ერთიანი ნაციონალური მოძრაობის“ წევრი გიორგი კირთაძე, რა დროსაც 34 წლის იოსებ სირაბიძე მას თავს დაესხა და კვერცხები დაუშინა. მოგვიანებით, ფიზიკური და სიტყვიერი შეურაცხყოფაც მიაყენა. იგი მარტო არ მოქმედებდა, თან ახლდა მამაკაცი მირზა თეთვაძე და კიდევ ერთი პირი. როგორც ცნობილია, თავდამსხმელი პროროსული ტელეარხის „ალტ-ინფოს“ ერთ-ერთი მხარდამჭერია. „ალტ-ინფოს“ თანამშრომლები მიიჩნევენ, რომ გიორგი კირთაძე და მასთან ერთად შეკრებილი ჟურნალისტები პროვოკაციულ განცხადებებს აკეთებდნენ, სწორედ ეს ვერ აიტანა „ალტ-ინფოს“ მხარდამჭერმა და რესპონდენტს კვერცხები დაუშინა.

ბათუმის საქალაქო სასამართლომ გიორგი კირთაძის საქმეზე დაკავებული პირი იოსებ სირაბიძე, რომელსაც სამწლიანი პატიმრობა ემუქრებოდა, 5000-ლარიანი გირაოს სანაცვლოდ გაათავისუფლა. გადაწყვეტილება 22 დეკემბერს მოსამართლე ლევან ყოლბაიამ მიიღო.

ГАРЕМО

წარჩინებულ სტუდენტებს „მწვანე სტიპენდიები“ გადაეცათ

დარინა ბაბაიძე 27 48 93

გარემოს დაცვისა და სოფლის მეურნეობის მინისტრმა ოთარ შამუგიამ გარემოსდაცვითი მიმართულების სტუდენტებისთვის „მწვანე სტიპენდიების“ გადაცემის ღონისძიებაზე განაცხადა, რომ მნიშვნელოვანია, ახალგაზრდების მხარდაჭერა, რათა მათ მიიღონ სათანადო ცოდნა და განათლება გარემოსდაცვითი მიმართულებით, დაეუფლონ ისეთ მნიშვნელოვან პროფესიებს, როგორიც არის გეოლოგია, ჰიდროლოგია, ეკოლოგია. „ჩვენ აქტიურად ვთანამშრომლობთ განათლების სამინისტროსთან, უმაღლეს სასწავლებლებთან, ვახორციელებთ ერთობლივ პროექტებს, რომელთა ფარგლებშიც, სტიმულს ვაძლევთ ახალგაზრდებს, რომ დაინტერესდნენ აღნიშნული პროფესიებით და, შემდგომ, ემსახურონ ქვეყანას“, - აღნიშნა მინისტრმა.

საქართველოს 8 უნივერსიტეტიდან 1500-ლარიანი სტიპენდიით გარემოსდაცვითი მიმართულების 32 სტუდენტი დაჯილდოვდა. „მწვანე სტიპენდიების“ პროგრამა, რომელსაც გარემოს დაცვისა და სოფლის მეურნეობის სამინისტროს გარემოსდაცვითი ინფორმაციისა და განათლების ცენტრი ახორციელებს, ხელს შეუწყობს გარემოსდაცვითი დეფიციტური პროფესიების პოპულარიზაციასა და წარჩინებული სტუდენტების წახალისებას. პროგრამის ფარგლებში, სტუდენტებს შესაძლებლობა ექნებათ, მიიღონ პრაქტიკული გამოცდილება შესაბამის უწყებებში. როგორც გაეროს განვითარების პროგრამის მუდმივმა წარმომადგენელმა საქართველოში ნიკ ბერესფორდმა ღონისძიებაზე აღნიშნა, დღევანდელი რეალობის გათვალისწინებით, გარემოსდაცვით სფეროში მეცნიერული მიმართულება არის უაღრესად აქტუალური და მთავრობის მხრიდან ასეთი მხარდაჭერა ხაზგასმით მისასალმებელია. აღსანიშნავია, რომ სტიპენდიები ივანე ჯავახიშვილის სახელობის თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტის, ილიას სახელმწიფო უნივერსიტეტის, საქართველოს ტექნიკური უნივერსიტეტის, საქართველოს საზოგადოებრივ საქმეთა ინსტიტუტის, აკაკი წერეთლის სახელმწიფო უნივერსიტეტის, იაკობ გოგებაშვილის სახელობის თელავის სახელმწიფო უნივერსიტეტის, ბათუმის შოთა რუსთაველის სახელმწიფო უნივერსიტეტისა და სოხუმის სახელმწიფო უნივერსიტეტის სტუდენტებმა მიიღეს. სტიპენდიები ვრცელდება შემდეგ სამაგისტრო პროგრამებზე: ფიზიკური გეოგრაფია და გარემოს მდგრადი განვითარება, წყლის რესურსების ინტეგრირებული მართვა (ჰიდროლოგია), გეოლოგია, ენერგეტიკისა და მინერალური რესურსების მართვა და მდგრადი განვითარება, გარემოს დაცვა და საინჟინრო ეკოლოგია, ეკოლოგია, კონსტრუქციული (გამოყენებითი) გეოგრაფია და გარემოს დაცვა, გარემოსდაცვითი მენეჯმენტი და პოლიტიკა.

დაჯილდოების ღონისძიებას საქართველოს პარლამენტის გარემოს დაცვისა და ბუნებრივი რესურსების კომიტეტის თავმჯდომარე მაია ბითაძე, გარემოს დაცვის და სოფლის მეურნეობის მინისტრის მოადგილეები სოლომონ პავლიაშვილი და ნინო თანდილაშვილი, განათლებისა და მეცნიერების მინისტრის მოადგილე ნუნუ მიცკევიჩი, შვედეთის საერთაშორისო განვითარების თანამშრომლობის სააგენტოს პროგრამის (SIDA) ოფიცერი ხათუნა ზალდასტანიშვილი, გარემოსდაცვითი ინფორმაციისა და განათლების ცენტრის დირექტორი თამარ ალადაშვილი, უნივერსიტეტების წარმომადგენლები ესწრებოდნენ.

„მწვანე სტიპენდიების“ პროგრამა ხორციელდება გარემოს დაცვისა და სოფლის მეურნეობის სამინისტროს გარემოსდაცვითი ინფორმაციისა და განათლების ცენტრის მიერ, გაეროს განვითარების პროგრამის (UNDP) ფართომასშტაბიანი ინიციატივის „კლიმატის ცვლილებით გამოწვეული კატასტროფების რისკის შემცირება საქართველოში“ ფარგლებში, კლიმატის მწვანე ფონდის (GCF), საქართველოს, შვედეთისა და შვეიცარიის მთავრობების მხარდაჭერით.

მშობლიური ენისა და ლიტერატურის ქომაგი

ოთარ ცინარიძე 599 85 21 14

სამოლეთელი სულთან დავითაძისა და დურსუნ ლორთქიფანიძის ოჯახში ქალიშვილი - გული ლორთქიფანიძე იმ წლებში დაიბადა, როცა მშობლები გარკვეული წნეხის ქვეშ ცხოვრობდნენ - კომუნისტურ რეჟიმს გულის ბაბუა ზექერია ლორთქიფანიძე სამშობლოს მოღალატედ ჰყავდა შერაცხული. ლორთქიფანიძეები სამართალიანობის აღდგენას წლები ელოდნენ. ასეც მოხდა

გული უჩამბის საშუალო სკოლის მერხს რომ მიუჯდა, ოჯახს მავნებელისა და სამშობლოს მოღალატის სტატუსი უკვე მოხსნილი ჰქონდა. ზექერია ლორთქიფანიძის შთამომავლები, სხვების მსგავსად, ცხოვრების ნორმალურ რიტმს მისდევდნენ.

ღირსეული ბაბუის შთამომავალმა და აქტიური მშობლების შვილმა პირველი კლასიდანვე პედაგოგებისა და თანატოლების ყურადღება მიიპყრო. ამის საფუძველს ოჯახური გარემოც აძლევდა. ბიძა ჯემალი ქალაქ ბათუმის ერთ-ერთი სკოლის დირექტორი იყო, ხოლო მამა იმ თაობის უჩამბელი გახლდათ, რომლებიც კვალიფიციური უმაღლესი განათლების მიღების შემდეგ, თანასოფლელთა შვილების აღზრდის საპატიო სამსახურში ჩადგნენ. დურსუნი და მისი კოლეგები - მევლუდ, ნიაზ თურმანიძეები, მეორე მსოფლიო ომის მონაწილე ხუსეინ ვარშანიძე, ილია, თეიმურაზ, შოთა, ფატი ბერიძეები, იოსებ, ნოდარ გამრეკელიძეები, ივანე ველიაძე ასეულობით აღსაზრდელის დაკვალიანებაში თავიანთ წილს იღებდნენ.

სხვისი შვილების აღმზრდელი დურსუნი საკუთარ შვილებსაც ყურადღებასა და ზრუნვას არ აკლებდა. ქართული და უცხოური კლასიკური ლიტერატურის მოსიყვარულემ, გულის სკოლის მერხიდანვე მშობლიური ენისა და ლიტერატურის სიყვარული ჩაუნერგა. თუ გულის უფროსმა დამ, ფატიმ, მომავალ სპეციალობად ბიოლოგია აირჩია, მეორე დამ ეთერმა - მათემატიკა, ძმებმა შალვამ და ზაქრომ - ინჟინრობა, გული მშობლიური ენისა და ლიტერატურის ერთგული დარჩა.

- ასეთი არჩევანი ორმა ფაქტორმა შთამაგონა, - იგონებს გული, - მამას დღემუდამ წიგნებთან ჰქონდა ურთიერთობა, მირჩევდა, ქართველი კლასიკოსების ნაწარმოებები მეკითხა. კიდეც ვასრულებდი ამ რჩევას. შოთას, ილიას, ვაჟას, აკაკის, გალაკტიონს, გოგლა ლეონიძეს, მიხეილ ჯავახიშვილს, კონსტანტინე გამსახურდიას ახლაც უფლის სადარ ადამიანებად მივიჩნევ. ჯერ სტუდენტი, შემდეგ პედაგოგი, ყოველთვის ვცდილობდი წინა საუკუნის ქართველ კლასიკოსებთან სიახლოვეს. საოჯახო ბიბლიოთეკას მრავალი მათგანის ავტოგრაფით ბოძებული წიგნი ამშვენებს. ერთ-ერთი ინიციატორი ვიყავი შუახევში მუხრან მაჭავარიანის, გურამ დოჩანაშვილის, ფრიდონ ხალვაშის, ზურაბ გორგილაძის, ჯემალ ჯაყელის, ჯემალ ქათამაძის, რეზო ჩხეიძის, ოტია იოსელიანის, ქიშვარდ ისაკაძის, სხვა ცნობილი ადამიანების მოწვევისა და შემოქმედებითი საღამოს მოწყობისა. ეს „სენი“ ხულოელი კოლეგისა და თანატოლ ეთერ დეკანაძისგან გადმომედო. წიგნებთან, თანამედროვე კლასიკოსებთან ურთიერთობებს ახლაც არ გავურბივარ.

დიდი და საუკუნოვანი ტრადიციების მქონე უჩამბის საშუალო სკოლას იმ წელს გამოემშვიდობა, როცა საქართველოს მასშტაბით სიმწიფის ატესტატი ერთდროულად მე-11 და მე-10 კლასების კურსდამთავრებულებმა მიიღეს. კურსდამთავრებულთა ასეთი მოზღვავება ქვეყანაში არსებულ ქვეყნის 18 უმაღლეს სასწავლებელში მისაღებ გამოცდებზე დიდ კონკურსს ქმნიდა. გამონაკლისი არც ბათუმის შოთა რუსთაველის სახელმწიფო პედაგოგიური ინსტიტუტი იყო. ფილოლოგიური ფაკულტეტის ქართული ენისა და ლიტერატურის სპეციალობაზე ერთ ადგილზე 45-ზე მეტი აბიტურიენტი მოდიოდა. უჩამბელი პედაგოგების დამსახურება იყო, რომ გული ყოველგვარი რეპეტიტორისა და ჩაწყობის გარეშე პირველსავე წელს სტუდენტი გახდა.

- სკოლის დამთავრებიდან 67 წელი გავიდა, - იგონებს გულის თანაკლასელი ჟორა ბერიძე, - იგი აქტიური, შრომისმოყვარე მოსწავლე იყო. ერთ დღესაც ვერ გავიხსენებ, რომ გაკვეთილზე მოუმზადებელი გამოცხადებულიყო. ისეთი მკაცრი აღმზრდელები, როგორებიც მაშინ ჩვენს სკოლაში იყვნენ, გულის გამორჩეულად ეფერებოდნენ. მისი ასეთი დამოკიდებულება ჩვენზეც დადებითად მოქმედებდა. მუდამ მოწესრიგებული იყო. ჩვევად ჰქონდა მოვლილი სახელმძღვანელოებისა და საშინაო დავალებების მერხზე დალაგება. საკამათო ან საერთოდ სამსჯელო თემას ყოველთვის ამომწურავ პასუხს გასცემდა.

სოფლელ გოგონას უმაღლესი სასწავლებლის პროფესორ-მასწავლებლები გვერდით ედგნენ. ახლაც რომ ჰკითხავენ, ვის გამოარჩევდიო, დაუფიქრებლად გიპასუხებს, საყვარელი და სათაყვანებელი ლექტორები ალექსანდრე ჩავლეიშვილი, პავლე ნაცვლიშვილი, ნადია საბაშვილი, გრიგოლ ბაბილოძე, ალექსანდრე გობრონიძე, მერი ცინცაძე, კოტე ბოლქვაძე იყვნენო.

გრიგოლ ბაბილოძე ის ლექტორი იყო, რომელსაც შრომითი ნათლობა უჩამბის სკოლაში ჰქონდა მიღებული. გულის მეზობლად, ღისა გამრეკელიძის ოჯახში ითევდა ღამეს. ბატონი გრიგოლი სთავაზობდა გულის ინსტიტუტში მეცნიერ მუშაკად დარჩენას და პედაგოგიკის განხრით ასპირანტურაში სწავლის გაგრძელებას.

მაშინდელი რეჟიმი უმაღლესდამთავრებულ კადრს ავალდებულებდა, რამდენიმე წელი განაწილების მიხედვით ემუშავა. განაწილება განათლების სამინისტროს მოთხოვნის საფუძველზე ხდებოდა. აჭარის განათლების მაშინდელი მინისტრი ვახტანგ წულუკიძე უჩამბას, ლორთქიფანიძეების ოჯახს კარგად იცნობდა, ისიც ამ სკოლის კურსდამთავრებული გახლდათ. მისი რეკომენდაციით, გული უჩამბის მეზობელ სოფელ წაბლანაში გაანაწილეს.

- გული ლორთქიფანიძე წაბლანაში რომ მასწავლებლად დაინიშნა, იმ დროს სკოლის დირექტორი ვიყავი, - იგონებს აჭარის სკოლის დამსახურებული მასწავლებელი, ვეტერანი პედაგოგი სოსო ბერიძე, - მანამდე ქართულ ენასა და ლიტერატურას საკმაოდ კვალიფიციური მასწავლებელი, სოფლის რძალი ლამარა ბალანჩივაძე ასწავლიდა. ყველა ვფიქრობდით, რომ კაფანდარა გოგონა წინამორბედის სახელოვან გზას გააგრძელებდა და ასეც მოხდა. მან საკლასო ჟურნალის აღების პირველი დღიდანვე კოლეგებისა და მოსწავლეების პატივისცემა დაიმსახურა. ახლაც თვალწინ მიდგას ის დღეები, როცა ჩემი ქალიშვილი ასმათი და გული სკოლაში ხელჩაკიდებული მოდიოდნენ.

მთის სოფელი წარმატებულ ადამიანსაც მალე წარმოაჩენს და უქნარასაც საკადრისს მიუზღავს. გულის მინდობილი საქმისადმი გულისხმიერი დამოკიდებულება შეუმჩნეველი არ დარჩენია შუახევის რაიონის მაშინდელ პირველ პირს, ნიჭიერი ახალგაზრდების გზამკვლევ მიხეილ ხოზრევანიძეს. ერთი კალენდარული წელიც არ იყო გასული და გული შუახეველი ახალგაზრდების წინამძღოლთა რიგებში ჩადგა. თითქმის თანატოლი ახალგაზრდების წინამძღოლობა მისთვის დიდი პატივი და პასუხისმგებლობა გახლდათ. მურმან ჭაღალიძის, იოსებ ხიმშიაშვილის, ვალერიან აბაშიძის, შოთა მაკარაძის, ალექსანდრე ჯიბლაძის გვერდით მუშაობა გამოცდილებას მატებდა, ადამიანებთან ურთიერთობის საფუძველს უქმნიდა, ინიციატორის, მოტივატორის თვისებებს იჩენდა. ერთ-ერთი ინიციატორი იყო სტუდენტური შეკრებისა, რომლის დევიზი გახლდათ: „მშობელ მიწაში მიდგას ფესვები“. ის და შუახეველი ახალგაზრდების სხვა წინამძღოლები სტუდენტებს მოუწოდებდნენ უმაღლესი განათლების მიღების შემდეგ მშობლიურ რაიონში დაბრუნებულიყვნენ და მის სოციალურ-ეკონომიკურ და კულტურულ განვითარებაში წვლილი შეეტანათ. მაშინ ჩადგნენ თანარაიონელთა სამსახურში ახლა ცნობილი მეცნიერები, ექიმები, ეროვნული მეურნეობის სხვა დარგების სპეციალისტები ალიოშა ბაკურიძე, შალვა აბაშიძე, დიმიტრი ბერიძე, გურამ, თემურ ქარცივაძეები, აკაკი, შოთა, ჯემალ ფუტკარაძეები. გულის გამორჩეული ურთიერთობა ჰქონდა შუახევის რაიონულ გაზეთ „დროშის“ მაშინდელ ჟურნალისტ ნაზი კახიძესთან. ნაზის მოულოდნელი გარდაცვალება მისთვისაც თავზარდამცემი იყო.

რაიონის პირველი პირის თანამდებობაზე მიხეილ ხოზრევანიძე ნოდარ ცეცხლაძემ, ეს უკანასკნელი კი მურმან ჭაღალიძემ ჩაანაცვლა. გულის გამჭრიახობას, მუშაობის სტილს ისინიც იწონებდნენ და რაიონულ სტრუქტურებში საპასუხისმგებლო თანამდებობებს ანდობდნენ. მისი თანატოლები, რაიონულ სტრუქტურებში მომუშავენი სულიკო ფუტკარაძე, ვასო ხიმშიაშვილი, მიხეილ დავითაძე ახლაც კეთილ სიტყვას ამბობენ კოლეგასა და თანატოლზე.

ძველის რღვევისა და ახლის მშენებლობის ეტაპზე მრავალი წარმატებული საჯარო მოხელე დაიკარგა, მრავალმა მშობლიური კუთხე მიატოვა. ორი შვილის დედა, ზურაბ ფუტკარაძის ერთგული თანამეცხედრე, ქვეყნისთვის და მშობლიური შუახევისთვის ძნელბედობის წლებში, ანზორ გოგიტიძის თანადგომით, ისევ თანარაიონელთა სამსახურში ჩადგა.

დრომ თავისი გაიტანა. გული უკვე 7 ათეულ წელსაა გადაცილებული, თუმცა შუახევის მუნიციპალიტეტის მერიაში წამყვან პოზიციაზე სამსახურს ვერ ელევა. თანამედროვე მოთხოვნათა კვალდაკვალ კომპიუტერული ტექნოლოგიები აითვისა. მას თეა დავითაძის, ციური აბაშიძის, მარინა შარაშიძის გვერდით შრომა სიხალისესა და მხნეობას მატებს. მისი მუშაობა დღეს ისეთივე შრომატევადი, სიახლეებით სავსე და შედეგიანია, როგორც იმ წლებში იყო, როცა საზოგადოებრივი საქმიანობის დიდ აღმართს თავდაჯერებული, მომავლის იმედით განმსჭვალული მიუყვებოდა.

ცხოვრების დიდ აღმართს დაღმართი მოჰყვება. წუთისოფელი ადამიანებს ყოველყამს არ ანებივრებს. ეთერ დეკანაძის, დარია თურაკაკი, ზურაბ ფუტკარაძის, ალექსანდრე ბასილაძის, გულიკო ფაღავას თანატოლსა და მათსავით ახალგაზრდების წინამძღოლობაში გაწაფულს, ყველაზე მეტად ქალიშვილის, მეუღლის, დის - ეთერის ნაადრევი სიკვდილი ადარდებს და ანაღვლიანებს. თუმცა ერთი ვაჟის ამარა დარჩენილ ოჯახს ხელს არ აკლებს, საზოგადოებაში პირად ხელწერას და ადგილს ინარჩუნებს. მრავალთა მსგავსად, 2022 წელი მისთვის კეთილ მოგონებად, ხანგრძლივი, ნაყოფიერი შრომის დაფასების წლად შემორჩება. გული ერთი იმათგანია, ვინც „საპატიო შუახეველის“ წოდება დაიმსახურა.

- წინა საუკუნის 70-იანი წლებიდან მოყოლებული, თითქმის ყველა მასშტაბური ღონისძიების მომსწრე, ორგანიზატორი, წამყვანი ვიყავი. ყოველთვის მახარებდა ადამიანებს შრომას რომ უფასებდნენ, საპატიო დიპლომს, სიგელს, სამთავრობო ჯილდოს რომ გადასცემდნენ. ის დღეც კარგად მახსოვს, „სომღერის დღესასწაულზე“ (ახლა „შუახევობა“), პირველი „საპატიო შუახეველები“ რომ აირჩიეს. მაშინ რას ვიფიქრებდი, თუ გაივლიდა წლები და შუშანა ფუტკარაძის, რამაზ სურმანიძის, შურა ლორიას, ზურაბ გორგილაძის და სხვათა მსგავსად სცენაზე მეც მიხმობდნენ „საპატიო შუახეველის“ დიპლომის გადმოსაცემად, - ამბობს გული.

ასაკოვანი ქალბატონის ცხოვრების დიდ გზაზე მრავალი სიხარული, ამაღლებული დღე ყოფილა, თუმცა გამორჩეულად აღტაცებული ტოვებდა სცენას, როცა აჭარის მთავრობის თავმჯდომარე თორნიკე რიყვაძემ აღიარება მიულოცა და „საპატიო შუახეველის“ დიპლომი გადასცა.

კიდევ რამდენიმე დღეც და ახალი წელი შემოაბიჯებს. გულის ყველაზე მეტად კაცთაკვლა სძაგს.

- ვისურვებდი, პლანეტაზე მშვიდობა იყოს. მსოფლიოს წამყვანი ქვეყნების ლიდერები, მათ შორის, ოკუპანტი რუსეთის პრეზიდენტი ვლადიმერ პუტინი, გონს მივიდნენ, რომ უკრაინაში შეწყდეს საომარი მოქმედებები, - გვითხრა მან გამომშვიდობებისას.

„გული უკვე 7 ათეულ წელსაა გადაცილებული, თუმცა შუახევის მუნიციპალიტეტის მერიაში წამყვან პოზიციაზე სამსახურს ვერ ელევა. თანამედროვე მოთხოვნათა კვალდაკვალ კომპიუტერული ტექნოლოგიები აითვისა. მას თეა დავითაძის, ციური აბაშიძის, მარინა შარაშიძის გვერდით შრომა სიხალისესა და მხნეობას მატებს. მისი მუშაობა დღეს ისეთივე შრომატევადი, სიახლეებით სავსე და შედეგიანია, როგორც იმ წლებში იყო, როცა საზოგადოებრივი საქმიანობის დიდ აღმართს თავდაჯერებული, მომავლის იმედით განმსჭვალული მიუყვებოდა

ბათუმი - უცხოურ მედიაში

ბათუმს სულ უფრო მზარდ პოპულარიზაციას უწევენ საზღვარგარეთ. როგორც აჭარის ავტონომიური რესპუბლიკის მთავრობის ტურიზმისა და კურორტების დეპარტამენტი იტყობინება, მარტო წელს ბათუმის შესახებ უცხოურ მედიაში 150-მდე სტატია, ბლოგპოსტი და სიუჟეტი გამოქვეყნდა.

დეპარტამენტისვე ინფორმაციით, ბათუმის საზღვაო და სამთო ტურისტული პროდუქტების შესახებ სტატიები დაიბეჭდა ისეთ მედიაგიგანტებში, როგორებიცაა Bloomberg-ი, Euronews-ი, Wanderlust-ი, Conde Nast Traveler-ი, Forbes-ი, Dailymail-ი და New York Times-ი.

მათ არც მსხვილი ტურისტული გამოფენების გამოცემები - ბერლინის ITB BERLIN NEWS-ი, ლონდონის WTM YEARBOOK-ი და დუბაის ATM DUBAI DAILY PUBLICATION-ი ჩამორჩნენ, რომლებმაც აჭარის მდიდარი ტურისტული შესაძლებლობები გააცნეს მკითხველებს.

„2022 წელი ბათუმისთვის გამორჩეული იყო საერთაშორისო აღიარებების კუთხითაც. წელს პირველად, ევროპის ჯილდოს შემდეგ, ბათუმმა World Travel Awards-ის პრესტიჟული ჯილდო, როგორც მსოფლიოს წამყვანმა ტურისტულმა მიმართულებამ, მოიპოვა.

წელსვე ბათუმი 2023 წლის World Travel Awards-ის ევროპის გალა ცერემონიის მასპინძელ ქალაქად ოფიციალურად დასახელდა. აღნიშნულმა მიღწევებმა კიდევ ერთხელ განამტკიცა ბათუმის, როგორც მიმზიდველი და უსაფრთხო ტურისტული მიმართულების სტატუსი“, - აღნიშნულია ტურიზმისა და კურორტების დეპარტამენტის მიერ გავრცელებულ ინფორმაციაში.

ამირან გურიელიძე

რუსუდან სიხარულიძეს ვარსკვლავი გაუხსნეს

მანანა ძიძიშვილი 598 24 94 97

გუშინ მუხრან ვახტანგაძის სახელობის ბათუმის სპორტის სასახლის წინ სპორტული ტანმოვარჯიშის, საქართველოს სპორტის დამსახურებული მოღვაწის, საერთაშორისო კლასის სპორტის ოსტატის, სპორტულ ტანვარჯიშში მსოფლიო ჩემპიონისა და პრიზორის, საერთაშორისო ტურნირების მრავალგზის გამარჯვებულის, საქართველოს დამსახურებული მწვრთნელის, საერთაშორისო კატეგორიის მსაჯის, ღირსების ორდენის კავალერის, აჭარის სპორტის დამსახურებული მუშაკის, ქალაქ ბათუმის საპატიო მოქალაქის, ქალაქ ჩიკაგოს საპატიო მოქალაქის, „სპორტის რაინდის“ რუსუდან სიხარულიძის სახელობითი ვარსკვლავი გაიხსნა

რუსუდან სიხარულიძე დაიბადა ბათუმში. 1977 წელს დაამთავრა ბათუმის შოთა რუსთაველის სახელობის სახელმწიფო ინსტიტუტის ფიზიკური აღზრდისა და სპორტის ფაკულტეტი, 1979-82 წლებში ბათუმის ტანვარჯიშის სპორტული სკოლის დირექტორია. 1991 წელს აირჩიეს საქართველოს ტანვარჯიშის სახეობათა ეროვნული ფედერაციის ვიცე-პრეზიდენტად, 1992-1996 წლებში - საქართველოს ეროვნული ოლიმპიური კომიტეტის ვიცე-პრეზიდენტად, 1996-2000 წლებში აჭარის ტანვარჯიშის სახეობათა ფედერაციის პრეზიდენტია, 1996-2003 წლებში - აჭარის ოლიმპიური კომიტეტის პრეზიდენტი, 2004-2007 წლებში - საქართველოს ტანვარჯიშის სახეობათა ეროვნული ფედერაციის პრეზიდენტი.

2007-2010 წლებში მოღვაწეობდა ამერიკის შეერთებულ შტატებში ჯორჯიის შტატის სპორტული კლუბის უფროს მწვრთნელად. 2010-2012 წლებში საქართველოს ტანვარჯიშის სახეობათა ეროვნული ფედერაციის ვიცე-პრეზიდენტია, ხოლო 2012 წლიდან დღემდე - პირველი ვიცე-პრეზიდენტი.

2000 წელს ოლიმპიურ მოძრაობაში შეტანილი წვლილისთვის საქართველოს ეროვნული ოლიმპიური კომიტეტის ოლიმპიური მედლით დააჯილდოვეს. ქალბატონი რუსუდანი მე-20 საუკუნის საქართველოსა და აჭარის 10 საუკეთესო ქალ სპორტსმენს შორისა დასახელებული.

რუსუდან სიხარულიძეს დიდი წვლილი მიუძღვის აჭარაში სპორტის განვითარებასა და პოპულარიზაციაში.

გუშინ მისი სახელობითი ვარსკვლავის გახსნას ესწრებოდნენ კოლეგები, აჭარის განათლების, კულტურისა და სპორტის სამინისტროს, სპორტის სახელმწიფო დეპარტამენტის წარმომადგენლები, თბილისიდან სპეციალურად ამ დღისთვის ჩამობრძანებული სტუმრები, რომელთა შორის გახლდათ საქართველოს ტანვარჯიშის სახეობათა ეროვნული ფედერაციის პრეზიდენტი კონსტანტინე ლაშხი და ვიცე-პრეზიდენტი ბესარიონ გამსახურდია.

- რუსიკომ თავის დროზე ძალიან კარგად თქვა თავისი სიტყვა როგორც წარმატებულმა სპორტსმენმა - მსოფლიოს ჩემპიონმა და არა მხოლოდ... მან ბევრი სიკეთე გაუკეთა, ზოგადად, რეგიონს, საქართველოს წარმატებული საქმიანობით. ის არის არა მხოლოდ წარმატებული სპორტსმენი, არამედ საუკეთესო მწვრთნელი, მსაჯი, რომელიც დღესაც საქმიანობს. ვსარგებლობ შემთხვევით და ვულოცავ დღევანდელ დღეს, რუსიკოს არაერთი ვარსკვლავი გახსნილიყოს, - გვითხრა კონსტანტინე ლაშხმ.

- დღეს გავხსენით ქართული სპორტის ერთ-ერთი თვალსაჩინო წარმომადგენლის - რუსუდან სიხარულიძის ვარსკვლავი. პირველ რიგში, მსურს, მივულოცო მას და მის ოჯახს, ასევე ქართული ტანვარჯიშის, საერთოდ, სპორტულ საზოგადოებას, მთლიანად საქართველოს. მინდა აღვნიშნო, რომ ქალბატონი რუსუდანი იმ თითზე ჩამოსათვლელ ადამიანებს შორისაა, რომლებიც ჩვენს ქვეყანას რამდენიმე წლის განმავლობაში წარმოაჩენდნენ ქვეყნის გარეთ და ასახელებდნენ მას. ვულოცავ ბათუმს და ყველას, ვისაც სპორტი უყვარს, - აღნიშნა სპორტის დეპარტამენტის უფროსმა ლაშა ჩავლეშვილმა.

- ძალიან გახარებული ვარ, განსაკუთრებით იმით, რომ ჩემთვის საყვარელი ამდენი ადამიანი მოვიდა აქ და თითოეულის სახეზე დავინახე დიდი სიხარული. მადლობა ყველას - საქართველოს სპორტის სამინისტროს, ტანვარჯიშის ფედერაციას, აჭარის განათლების, კულტურისა და სპორტის სამინისტროს, სპორტის დეპარტამენტს... ეს ჩემთვის დიდი პატივია, - თქვა რუსუდან სიხარულიძემ ვარსკვლავის გახსნისას.

- ვულოცავ ქალბატონ რუსუდანს ამ დამსახურებულ ვარსკვლავს. ის ლეგენდაა საქართველოსთვის და აჭარისთვის უძვირფასესი ქალბატონია. ჩვენ ერთად 2005 წლიდან ვმუშაობთ, მანამდე ბავშვობიდან ოთხი ათეული წელია ერთად მოვდივართ და დღეს არ შემეძლო, აქ არ ჩამოვსულიყავი. ქართული სპორტის გულშემატკივრებისა და ჩვენი ფედერაციის სახელით ვულოცავთ მას ამ შესანიშნავ დღეს, - გვითხრა საქართველოს ტანვარჯიშის სახეობათა ეროვნული ფედერაციის ვიცე-პრეზიდენტმა ბესო გამსახურდიამ.

- ძალიან სახელოვანი ქალბატონის ვარსკვლავი გავხსენით, ეს დამსახურებული ჯილდოა და მან სავსებით დაიმსახურა. მადლობა ყველას, ვინც მონაწილეობდა ამ იდეის განხორციელებაში, გაიზიარა ეს სიხარული. გვჯერა, რომ მის მიერ გაზრდილი სპორტსმენები არაერთხელ გვასახელებენ. დიდ წარმატებებს ვუსურვებ საქმიანობაში, რომელსაც დღესაც ნაყოფიერად აგრძელებს, - განაცხადა აჭარის განათლების, კულტურისა და სპორტის მინისტრის მოადგილე ბადრი ნაკაშიძემ.

- საზეიმო დღეა, ბედნიერები ვართ, რომ დღეს, მართალია, დაგვიანებით, მაგრამ მისი სახელობითი ვარსკვლავი გაიხსნა. ის იყო საბჭოთა კავშირის ნაკრების წევრი, როცა მსოფლიო ჩემპიონი გახდა და ეს მაშინ არ იყო ადვილი. ვთვლი, რომ ქალბატონი რუსუდანი ყველაზე ლამაზი მსოფლიო ჩემპიონი იყო, - თქვა აჭარის ოლიმპიური კომიტეტის პრეზიდენტმა ჯონი ცივაძემ, რომელმაც მას ფულადი ჯილდო გადასცა.

ვარსკვლავის გახსნა მას საკრებულოს თავმჯდომარე რამაზ ჯინჭარაძემ მიულოცა.

მიწის რესურსის ეფექტიანად გამოყენებისა და დაცვისთვის

დარინა გაბაიძე 27 48 93

გარემოს დაცვისა და სოფლის მეურნეობის მინისტრი ოთარ შამუგია გლობალური გარემოს დაცვის ფონდის (GEF) მიერ დაფინანსებული პროექტის „მიწის დეგრადაციის ნეიტრალური ბალანსის (LDN) ეროვნული მიზნების მიღწევა დეგრადირებული საძოვრების აღდგენისა და მდგრადი მართვის გზით“ ფარგლებში გამართულ სამუშაო შეხვედრას დაესწრო. შეხვედრაზე საძოვრების მდგრადი მართვის ეროვნული პოლიტიკის კონცეფციის პროექტი განიხილეს

„მნიშვნელოვანია, შევძლოთ მიწის რესურსის ეფექტიანად გამოყენება და დაცვა. საძოვრების მდგრადი მართვის სახელმწიფო პოლიტიკის დოკუმენტი პარლამენტის, შესაბამისი უწყებების წარმომადგენლებისა და უცხოელი ექსპერტების აქტიური ჩართულობით შემუშავდა. აღნიშნული დოკუმენტი საფუძვლად დაედება შესაბამისი საკანონმდებლო ჩარჩოს შექმნას, რაც დაგვეხმარება, გადავდგათ სწორი ნაბიჯები ქვეყანაში საძოვრების მართვასთან დაკავშირებული საკითხების დარეგულირებაში. ამასთან, ყველა დაინტერესებულ მხარეს, იქნება ეს ცენტრალური ხელისუფლება, ადგილობრივი თვითმმართველობა თუ ფერმერები, ექნება გაწერილი ფუნქციები და ვალდებულებები, რათა მაქსიმალურად რაციონალურად მოხდეს ბუნებრივი რესურსის გამოყენება და დაცვა“, - განაცხადა ოთარ შამუგიამ.

საძოვრების მდგრადი მართვის ეროვნული პოლიტიკის კონცეფციის მიზანია საძოვრებით მდგრადი სარგებლობისა და საძოვრების დაცვის ერთიანი, თანმიმდევრული მიდგომის ჩამოყალიბება, რომელიც უზრუნველყოფს საძოვრებზე მიწის დეგრადაციის პრევენციას და ბიომრავალფეროვნების შენარჩუნებას, ხელს შეუწყობს საძოვრების ნაყოფიერების გაუმჯობესებას, მეცხოველეობის დარგის მდგრად განვითარებას და პროდუქტიულობის გაზრდას. აღნიშნული პოლიტიკის დოკუმენტი საფუძვლად დაედება საძოვრების მართვის სფეროში შესაბამისი საკანონმდებლო პაკეტის მომზადებას.

პროექტს, ეროვნულ დონეზე, გაეროს სურსათისა და სოფლის მეურნეობის ორგანიზაცია (FAO) და კავკასიის რეგიონული გარემოსდაცვითი ცენტრი (REC Caucasus) ახორციელებენ. პროექტის პარტნიორია კავკასიის გარემოსდაცვითი არასამთავრობო ორგანიზაციების ქსელი (CENN). საძოვრების მდგრადი მართვის ეროვნული პოლიტიკის კონცეფციის პროექტი შემუშავებულია პროექტის „მიწის დეგრადაციის ნეიტრალური ბალანსის (LDN) ეროვნული მიზნების მიღწევა დეგრადირებული საძოვრების აღდგენისა და მდგრადი მართვის გზით“ ფარგლებში შექმნილ უწყებათშორისი სამუშაო ჯგუფთან კოორდინაციით, ეროვნული და საერთაშორისო ექსპერტების მიერ. სამუშაო შეხვედრას გარემოს დაცვისა და ბუნებრივი რესურსების კომიტეტის თავმჯდომარე მაია ბითაძე, პარლამენტის აგრარულ საკითხთა კომიტეტის თავმჯდომარე ნინო წილოსანი, არასამთავრობო ორგანიზაციის წარმომადგენლები და სხვა დაინტერესებული მხარეები ესწრებოდნენ.

აზარტული თამაშების სექტორისთვის რეგულაციები მკაცრდება

დარგობრივი ეკონომიკისა და ეკონომიკური პოლიტიკის კომიტეტმა, მუხლობრივი განხილვის შემდეგ, მეორე მოსმენით მხარი დაუჭირა „ლაზარტიების, აზარტული და მომგებიანი თამაშობების მოწყობის შესახებ“ კანონში ცვლილებების შესახებ კანონპროექტსა და მისგან გამომდინარე საკანონმდებლო პაკეტს, რომელიც სისტემურ-ელექტრონული ფორმით (ონლაინ) აზარტული და მომგებიანი თამაშობის ორგანიზებაზე ახალი სანებართვო საქმიანობის სახეებს აწესებს. კერძოდ, ონლაინ აზარტული თამაშებისთვის სანებართვო მოსაკრებელი წესდება. ამასთან, განისაზღვრება ჯარიმის მოცულობა როგორც სანებართვო პირობების დარღვევაზე, ასევე მოსაკრებლის გადახდის ვადის დარღვევაზე. დგინდება სანებართვო მოსაკრებლის ოდენობები, სანებართვო პირობები და პასუხისმგებლობა სანებართვო პირობების და წლიური სანებართვო მოსაკრებლის გადახდის ვადის დარღვევის შემთხვევებზე.

წარმოდგენილი ცვლილებებით შემოდის ახალი ნებართვების სახეობები, როგორიცაა: სისტემურ-ელექტრონული ფორმით სამორინეს თამაშობების ორგანიზების ნებართვა, სისტემურ-ელექტრონული ფორმით ტოტალიზატორის ორგანიზების ნებართვა, სისტემურ-ელექტრონული ფორმით სათამაშო აპარატების თამაშობების ორგანიზების ნებართვა.

კანონპროექტით ახალი ნებართვების სახეობებისთვის დგინდება სანებართვო მოსაკრებლები. ვინაიდან ახალი ნებართვის სახეობები შემოდის, შესაბამისად წესდება საჯარიმო სანქციები ამ საქმიანობების სანებართვო პირობების და წლიური მოსაკრებლის გადახდის ვადის დარღვევის შემთხვევებზე. კერძოდ: სანებართვო პირობების დარღვევისთვის ჯარიმის ოდენობა იქნება 7 000 ლარი; მოსაკრებლის გადახდის ვადის დარღვევისთვის - 20 000 ლარი.

საკანონმდებლო ინიციატივა მომზადდა საქართველოსთვის ევროკავშირის წევრობის კანდიდატის სტატუსის მისანიჭებლად განსაზღვრული 12-პუნქტიანი გეგმის შესასრულებლად საქართველოს პარლამენტის თავდაცვისა და უშიშროების კომიტეტთან ორგანიზებულ დანაშაულთან ბრძოლის გაძლიერების მიზნით შექმნილი სამუშაო ჯგუფის მიერ შემუშავებული წინადადებების/შემდგომი ნაბიჯების დოკუმენტის შესაბამისად.

ამირან გურიელიძე

მთავარი რედაქტორი
მარინა მითაიშვილი

გამომშვები რედაქტორი
ირმა შერვაშიძე

ლიტერატურული რედაქტორი
ეთერ ხომერიკი

რედაქცია პასუხს არ აგებს უცხოური პრესიდან თარგმნილი მასალების, ფაქტების, ინფორმაციის სიზუსტეზე, აგრეთვე სარეკლამო განცხადებების შინაარსსა და სტილზე.
(R) ნიშნით აღნიშნული სტატიები იბეჭდება რეკლამის უფლებით.
რედაქციაში შემოსული მასალები ავტორებს არ უბრუნდებათ.

გამომცემელი - შპს «ბაზეთი აჭარა და ადჭარია»
პოლიგრაფიული მომსახურება - შპს «კოლორ პრესი»
მის: ქ. თბილისი, ე. ბაღდავაძის ქ. №3

მისამართი: 6000, ბათუმი, გრიგოლ ფეოდოვის ქ. №2
ტელ: 27-13-31
აინყო და დაკაბადონდა გაზეთ «აჭარის» კომპ. ცენტრში
დასაბეჭდად ხელმოწერილია 23/12/22, 21 [25] სთ.

დირექტორი
მამუკა ბერიძე

„მიმღებსაც უხაროდა და გამღებსაც“

ღვაწლმოსილი პირები დააჯილდოვეს

წლევანდელ ჯილდოებს იმ ადამიანებისთვის, ვინც საკუთარი შრომით გარკვეული კვალი დაატყვეს ჩვენი კუთხის და თუნდაც მთელი საქართველოს სხვადასხვა სფეროს, ახლახან დაემატა აჭარის მთავრობისა და აჭარის უმაღლესი საბჭოს გადაწყვეტილებით სხვადასხვა სფეროს განვითარებაში შეტანილი განსაკუთრებული წვლილისთვის ტბელი აბუსერისძის პირველი და მეორე ხარისხის ორდენებით, ღირსების მედლითა და საპატიო წოდებით ღვაწლმოსილ პირთა დაჯილდოებაც.

საზეიმო შეკრებაზე აჭარის მთავრობის თავმჯდომარე თორნიკე რიყვაძემ ამ ადამიანებს სიტყვით მიმართა და მადლობა გადაუხადა აჭარის ავტონომიური რესპუბლიკის განვითარებისთვის გაწეული განსაკუთრებული ღვაწლისთვის, გამორჩეული სახელმწიფოებრივი და საზოგადოებრივი საქმიანობისთვის.

ტბელი აბუსერისძის პირველი ხარისხის ორდენით დაჯილდოვდა ვახტანგ ღლონტი - მწერალი, პოეტი, საზოგადო მოღვაწე, 11 პოეტური კრებულის ავტორი. მისი ლექსები შესულია ქართულ ენაზე გამოცემულ ყველა პოეტურ ანთოლოგიაში და თარგმნილია მრავალ ენაზე.

ტბელი აბუსერისძის პირველი ხარისხის ორდენით დაჯილდოვდა აკაკი ბერიძე - ქირურგი, მედიცინის მეცნიერებათა დოქტორი, სრული პროფესორი, მედიცინის მეცნიერებათა და სამედიცინო სოციალურ მეცნიერებათა აკადემიის აკადემიკოსი. მის სახელს უკავშირდება აჭარაში ქირურგიული სკოლის ჩამოყალიბება და ოპერაციული მკურნალობის ორიგინალური მეთოდების დანერგვა.

ტბელი აბუსერისძის მეორე ხარისხის ორდენი გადაეცა ვლადიმერ ბალაძეს - ბათუმის სახელმწიფო უნივერსიტეტის პროფესორს, 100-მდე სამეცნიერო შრომის ავტორს. მის მთავარ სამეცნიერო მიღწევად ითვლება საქართველოში გეომეტრიული ტოპოლოგიის განვითარება და ბათუმში გეომეტრიული ტოპოლოგიის სკოლის შექმნა.

აჭარის ავტონომიური რესპუბლიკის ღირსების მედლით დაჯილდოვდა აჭარის საგანგებო სიტუაციების მართვის მთავარი სამმართველოს უფროსის მოადგილე ხუსეინ სირაბიძე.

აჭარის ავტონომიური რესპუბლიკის საპატიო წოდება გადაეცა აჭარის საზოგადოებრივი ჯანდაცვის ცენტრის დირექტორ რუსუდან შავიშვილს ჯანდაცვის სფეროში შეტანილი განსაკუთრებული წვლილისთვის.

საპატიო ჯილდოები გამარჯვებულებს აჭარის მთავრობის თავმჯდომარე თორნიკე რიყვაძემ და უმაღლესი საბჭოს თავმჯდომარე დავით გაბაიძემ გადასცეს.

ჩვენ რამდენიმე მათგანს დაჯილდოებით მიღებული შთაბეჭდილებების გაზიარება ვთხოვეთ.

აკაკი ბერიძე:

- სრულიად მოულოდნელი იყო ასეთი დიდი ყურადღება და დაფასება. მეგონა, ამ ასაკის ადამიანი უკვე ყველას დავიწყებული ვყავდი, მაგრამ ასე არ აღმოჩნდა, თურმე ვახსოვარ ხელისუფლებას. აჭარის მთავრობის თავმჯდომარის ინიციატივა ყოფილა ეს დაჯილდოება, მისივე ხელმოწერილია გადაწყვეტილება. მადლობის მეტი რა მეთქმის. ვფიქრობ, ეს ჯილდო მხოლოდ მე კი არა, აჭარის თეთრხალათიანთა იმ მრავალათასიან არმიას ეკუთვნის, რომლებიც წინა საუკუნის 90-იან წლებში საშინელ პირობებში გმირულად ასრულებდნენ თავიანთ პროფესიულ მოვალეობას, ასევე, წინა წლებში ახალი კორონავირუსის პანდემიის პერიოდში თავგანწირვით იბრძოდნენ თითოეული დაინფიცირებულის სიცოცხლის გადასარჩენად და ზოგიერთი ემსხვერპლა კიდეც ამ ბრძოლას.

რუსუდან შავიშვილი:

- ძალიან დიდი ემოცია მომიტანა ამ სიურპრიზმა. მინიშნებითაც არ ვიცოდი, რომ დასაჯილდოებლად მიგვიწვიეს მთავრობის სახლში. მუშა ვიზიტებით, განსაკუთრებით - პანდემიის პერიოდში ისედაც მოვდიოდი ხოლმე და ვიფიქრე, ამჯერად, რახან წლის ბოლოა, გარკვეული შემაჯამებელი ანგარიშისთვის დამიბარეს. რა თქმა უნდა, მისვლისთანავე ვიგრძენი საზეიმო განწყობა, შემდეგ გამოაცხადეს კიდეც, რომ დაჯილდოება იქნებოდა და უცებ, ვინაიდან ერთადერთი ქალი ვიყავი დასაჯილდოებელთა შორის, პირველი გამომაცხადეს. ეს იყო ძალიან დიდი სიხარულის ამაღელვებელი მომენტი. იქვე ვთქვი, რომ ამ ჯილდოთი მთავრობამ არა მარტო მე, არამედ ჩემი სამსახურის უკლებლივ ყველა თანამშრომელი დაჯილდოვა. სწორედ ამიტომ, საზეიმო ცერემონიის შემდეგ, სამსახურში მივედი და მთელ კოლექტივს გავუზიარე ეს სიხარული. ნამდვილად, მისი ყოველი წევრის ერთიანობითა და ძალისხმევითაა მოპოვებული ეს ჯილდო.

ვახტანგ ღლონტი:

- ვერ ვიტყვი, რომ ველოდი, თანაც კონკრეტულად - ამ ჯილდოს, რომელიც ახალდაარსებულია, რადგან ტბელი აბუსერისძის სახელობის ლიტერატურული პრემია კოლეგებმა ადრე მომანიჭეს... ეს ორდენი სხვაა... როცა მწერალთა სახლიდან ბიოგრაფია მთხოვეს და მთლად დამაჯერებელი მიზეზი ვერ მითხრეს, რაღაცამ გამკრა გულში, მაგრამ დროში რომ გაიწელა, - გადამავიწყდა... მადლობელი ვარ ყველასი, ვინც ჩაიფიქრა, ვინც განხორციელება ითავა და ვინც დაადგირგვინა. დღეს უბრალო მადლიერების გამოხატვაც კი ლამის სანატრელი გახდა ჩვენში. თითქოს თანამდებობის პირს არ უნდა ჩაეთვალოს არცერთი კარგი საქმე, - ასე დამკვიდრდა თუ ცდილობენ დამკვიდრებას და სწორედ ეს ცალმხრივობა და ცალკერძობაა ჩვენში ყველა გაუგებრობის მიზეზი. განსაკუთრებით მიხარია, რომ ღირსეული ხალხის გვერდით მხვდა ეს პატივი წილად. ვულოცავ მათ, ეს ის შემთხვევა იყო, როცა მიმღებსაც უხაროდა და გამღებსაც. ღმერთმა ჭქნას, ყველამ ერთად მთელი საქართველოს გახარება შევძლოთ.

მარი მიდასელი

„წლის ხელოვანები“ - ზაირა ვადაჭკორია და შალვა გოგუაძე

მანანა ძიძიშვილი 598 24 94 97

ქალაქ ბათუმის მერიამ კულტურის სფეროში წლის მოვლენები შეაჯამა და გამოავლინა ხელოვანები, რომლებმაც პროფესიულ წარმატებას მიაღწიეს, წვლილი შეიტანეს ეროვნული კულტურის განვითარებასა და პოპულარიზაციაში

ბათუმის წლის წარმატებული ხელოვანების დაჯილდოება სასტუმრო „ჰილტონში“ ბათუმის მერიის ორგანიზებით გაიმართა.

გამარჯვებულებს ფულადი ჯილდოები და სიგელები გადაეცათ.

პროექტის მიზანი კულტურის პოპულარიზაცია, მისი განვითარება, ხელოვანთა სტიმულირება, ხელშეწყობა და წახალისებაა.

ბათუმელები შემდეგ ნომინაციებში დაჯილდოვდნენ: **„წლის ხელოვანი“** - ბათუმის მერიის კულტურის ცენტრის ქალთა აკადემიური კამერული გუნდის სამხატვრო ხელმძღვანელი, სამუსიკო ხელოვნების დოქტორი, ხელოვნების დამსახურებული მოღვაწე ზაირა ვადაჭკორია გახდა. გუნდი 1996 წლიდან საკმაოდ წარმატებულად მოღვაწეობს არა მხოლოდ საქართველოში, არამედ მის ფარგლებს გარეთაც. ისინი უკვე 12 წელია, თბილისის საგუნდო მუსიკის საერთაშორისო ფესტივალზე მაღალ დონეზე წარმოაჩენენ თავიანთ შემოქმედებას, პროფესიონალიზმს. მამაკაცებში ეს ტიტული ქორეოგრაფმა შალვა გოგუაძემ დაიმსახურა. ნაყოფიერი საქმიანობისთვის და საიუბილეო თარიღთან დაკავშირებით, ბატონ შალვას წელს საზაფხულო თეატრის წინ სახელობითი ვარსკვლავი გაუხსნეს.

„რჩეული ხელოვანი“ გელა ვადაჭკორია, მაია გერსამია-ჯორბენაძე და სანდრო ბერიძე გახდნენ. **„წლის დებიუტანტად“** ნორჩი პიანისტი ბაჩი მიქელაძე დასახელდა, რომელმაც წელს არაერთხელ ასახელა როგორც მშობლიური სამუსიკო სკოლა, ისე ბათუმი, საქართველო.

„წლის კოლექტივი“ გახდა ენვერ ხაბაძის სახელობის ქართული ნაციონალური ცეკვის სახელმწიფო აკადემიური ანსამბლი „ბათუმი“, **„წლის აღიარება“** კი ბათუმის რევაზ ლაღიძის სამუსიკო სკოლის „ბიჭუნათა გუნდმა“ დაიმსახურა. მას ხელმძღვანელობს დამსახურებული მოღვაწე, ბათუმის ქალთა აკადემიური კამერული გუნდის მთავარი დირიჟორი გელა ვადაჭკორია. ეს შესანიშნავი გუნდი მეორე წელია, არსებობს, მაგრამ უკვე მოიპოვა მსმენელთა აღიარება.

„წლის დიდოსტატები“ გახდნენ: რამაზ გოგიჩაიშვილი, ბელა ქებურია, ნინო ნიშნიანიძე, ქეთევან მანელიშვილი და ვახტანგ გორდაძე, **„წლის კულტურის მუშაკი“** - ზურაბ ჩართოლანი, მამუკა ჯღარკავა, ვახტანგ ნარსია, მირზა კილაძე, მიხეილ გოგიტიძე. ნომინაციაში **„ხელოვანი ბათუმისთვის“** გაიმარჯვეს ნონა დიასამიძემ, ნატალია ორაგველიძემ, ნიაზ ზოსიძემ, ჯემალ ჩიჩუამ, მირანდა ბაღდადიშვილმა, ნუგზარ მიქაძემ.

„ნაყოფიერი მუშაობისათვის“ დააჯილდოვეს მანანა სანაძე, ცირა ბებიაშვილი. ეს ის ადამიანები არიან, რომლებიც წლებია, ნაყოფიერად საქმიანობენ და გამორჩეული წვლილი შეაქვთ ქალაქის კულტურულ ცხოვრებაში.

- დღევანდელი ჯილდო არის უდიდესი სტიმული შემდგომი საქმიანობისთვის. მადლობა მინდა გადავუხადო ბათუმის კულტურის ცენტრს ამ ჯილდოზე წარდგენისთვის, ბათუმის მერიას, კულტურის სამსახურს, მის ხელმძღვანელ მერაბ ქიძინიძეს, ვიცე-მერ სოფო ხალვაშს ჩემი პროფესიული საქმიანობის დაფასებისთვის. ყველას ვულოცავ დამდეგ შობა-ახალ წელს, - გვითხრა ზაირა ვადაჭკორიამ.

- რა თქმა უნდა, როცა ორ ნომინაციაში - „რჩეული ხელოვანი“ და „წლის აღიარება“ გასახელებენ, სასიამოვნოა. ვულოცავ ყველა ნომინანტს, ახალ შემოქმედებით წარმატებებს ვუსურვებ, - თქვა გელა ვადაჭკორიამ.

ქალაქ ბათუმის მერმა არჩილ ჩიქოვანმა, მიულოცა რა დაჯილდოებულებს წარმატება, აღნიშნა, რომ წელსაც მერიამ ხელოვნების სფეროში გამოავლინა როგორც წარმატებული პირები, ისე შემოქმედებითი კოლექტივები და გამოთქვა რწმენა, რომ მომავალი წელი ჩვენი ხელოვანების, განათლებისა და კულტურის სფეროს მუშაკებისთვის კიდევ უფრო წარმატებული იქნება.